



ეროვნული
ბიბლიოთეკა
619
1974







# დროშა

დეკემბერი
№ 12 1974 წ


ეროვნული
ბიბლიოთეკა
5
დეკემბერი
სსრ კავშირის
კონსტიტუციის
დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 12 (456) დეკემბერი, 1974 წ.

გამოცემის წელი 51-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა







მთავარი რედაქტორი რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია: გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ მდივანი), ს. დურმიშიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. ქუსრაშვილი, ა. მინდაძე, ვ. ნატროშვილი, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე

ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი
კორექტორი ტ. თაბორიძე

# მიზანი ნათელია

ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წელი იწურება. ჩვენი სამშობლოს ყოველ კუთხეში ახლა დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა სუფევს. საბჭოთა ადამიანები თავდადებით იღწვიან სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა ფრონტზე, ძალასა და ენერგიას არ ზოგავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის დიად მიზანდასახულობათა წარმატებით განხორციელებისათვის.

შემოქმედებითი შრომის ფერხულში ჩაბმული საქართველოს მშრომელები ახალ-ახალ წარმატებებს უპატაკებენ სამშობლოს. რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის წარმოება-დამზადების ტემპის ზრდაში.

წლების მანძილზე ჩამორჩენის შემდეგ ბევრი რამ გაკეთდა აგრეთვე მრეწველობის, ტრანსპორტის, ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვა დარგების რიტმული და მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის.

მიღწეული ზღვარი როდია. უკანასკნელ ხანებში მოპოვებული წარმატებების მიუხედავად სახალხო მეურნეობის ბევრ უბანზე მდგომარეობა ჯერ კიდევ დამაფიქრებელია, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის მოსაგვარებელი და გამოსასწორებელი.

აი, ასეთ ვითარებაში დაიწყო მუშაობა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმმა, რომელმაც განიხილა უაღრესად დიდმნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხი — „რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები შესრულების კონტროლისა და შემოწმების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის შემდგომი სრულყოფის დარგში და სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებისათვის ბრძოლაში კომუნისტების, მთელი საზოგადოებრიობის აქტივობისა და პასუხისმგებლობის ამაღლების ღონისძიებები“. მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე.

პლენუმის ძირითადი ამოცანა იყო შეეჯამებინა მუშაობა, რომელიც რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა გასწიეს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლისა და შემოწმების შემდგომი სრულყოფის დარგში და შეემუშავებინა მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებანი შესრულების კონტროლისა და შემოწმების მთელი სისტემის ძირფესვიანი გაუმჯობესებისათვის.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ შესრულების შემოწმება და კონტროლი წარმატების საწინდარია, ყველა ჩვენი გეგმის, მიზნისა თუ ჩანაფიქრის განხორციელების მძლავრი ბერკეტია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს არაერთხელ მიუთითებია, რომ ჩვენში ბევრ კარგ გადაწყვეტილებას იღებენ, მაგრამ ყოველთვის როდია ორგანიზებული ჯეროვანი კონტროლი მათი შესრულებისადმი, რითაც ბევრს ვკარგავთ. აუცილებელია გაუმჯობესდეს გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლი, ამ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ორგანიზებული მუშაობის სრულყოფა ყველა პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებში, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში.

პლენუმის მონაწილენი ორი დღის განმავლობაში აანალიზებდნენ, პრინციპულად და შემოქმედებითად განიხილავდნენ რესპუბლიკის პარტიულ, სახელმწიფო, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში კონტროლისა და შესრულების შემოწმების სისტემის შემდგომი გაუმჯობესების, მისი ყოველმხრივი სრულყოფის პრობლემებს, აყენებდნენ წინადადებებს შესრულების კონტროლისა და შემოწმების უკეთ ორგანიზაციისათვის, პრაქტიკულ ღონისძიებებს სახავდნენ ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმი, რომელმაც უაღრესად პრინციპულ და საქმიან ვითარებაში ჩაიარა, ლოგიკური გაგრძელებაა იმ თანმიმდევრული და გარდამქმნელი მუშაობის, რომელსაც ჩვენი პარტიული ორგანიზაციები ანხორციელებენ ვოლუნტარიზმისა და სუბიექტივიზმის შედეგების, პროტექციონიზმისა და სხვა ანტიპოდური მოვლენების აღმოფხვრისათვის, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ჩამორჩენის დაძლევისათვის, მორალურ-პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებისათვის.

პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ მიღწეულმა წარმატებებმა არ უნდა გაგვაყოყოჩოს, არ უნდა მოგვცეს თვითდამშვიდების საფუძველი. ახლა საჭიროა მობილიზაცია გავუკეთოთ მთელ ჩვენს ძალებს, ავამოქმედოთ ყველა რეზერვი, უფრო მეტი მონდომებით, მეტი თავდადებით, მეტი შემართებით ვიბრძოლოთ მეცხრე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით განაღდებისათვის.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებებს ერთსულოვნად იწონებენ და მხარს უჭერენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები. ისინი ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ ეს პლენუმი შემობრუნების პუნქტი გახდება შესრულების კონტროლისა და შემოწმების შემდგომი გაუმჯობესების, დისციპლინის, განსაკუთრებით საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცების საქმეში.

პლენუმის გადაწყვეტილებებმა ახალი ძალა და შემართება შემატა ყველა მშრომელს. მათი მიზანი ნათელია — წარმატებით განახორციელონ ჩვენი პარტიის XXIV ყრილობის მიერ მიღებული მიზანდასახულობანი და მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ მომავალი, მეათე ხუთწლედის გამარჯვებით დაგვირგვინებას.



მემანქანე-ინსტრუქტორი დიმიტრი ილურიძე (მარცხნივ) და მოსწავლე სულხან ქელბაქიანი.

# საიმედო ცვლა

დადგება დრო და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ბევრი ახლანდელი აღსაზრდელი გახდება მოწინავე მუშა, წარმოების ნოვატორი, შრომის გმირი, საწარმოების, სახალხო მეურნეობის მთელი კადრების ხელმძღვანელი.

**ლ. ი. ბრეჟნევი**

## თბილისის 31-ე ტექნიკურ სასწავლებელს მიმდინარე წელს დაარსების 50 წელი შეუსრულდა

ძველი ნაძალადევი, მთის ფერდობზე შეფენილი ქოხმახები. აქა-იქ სახელდახელოდ გახსნილი რკინიგზის კუსტარული სახელოსნოები...

ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს მრეწველობა პირველ ნაბიჯებს დგამს. მრავალდარგოვანი სახალხო მეურნეობის მძლავრი განვითარებისათვის კვალიფიციური კადრების მომზადებაა საჭირო.

და აი აქ, ყოფილ ნაძალადევში, დღევანდელი ოქტომბრის ქუჩაზე საქართველოს მთავრობის მითითებით, რკინიგზის ბაზაზე იქმნება პირველი საფაბრიკო-საქარხნო სკოლა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მგზნებარე რევოლუციონერის ალიოშა ჯაფარიძის ძმისწული ალექსანდრე ჯაფარიძე.

თავისი საქმის ენთუზიასტმა ალექსანდრე ჯაფარიძემ დიდი ღვაწლი დასდო სასწავლებელს. რკინიგზის სხვადასხვა სახელოსნოებიდან ყველაზე მცოდნე, გამოცდილი ოსტატები მოიწვია პედაგოგებად, ჩამოაყალიბა პრაქტიკული მუშაობის კაბინეტები, სანიმუშო წესრიგი და დისციპლინა დაამყარა ყველა უბანზე.

სასწავლებელი თანდათან გაიზარდა, განმტკიცდა, ფართოდ გაშალა მხრები.

თბილისის 81-ე ტექნიკური სასწავლებელი ახლა ზეიმით ეგებება თავის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს. საზეიმო და საამაყო კი ბევრი აქვს მას. აქ, ამ სასწავლებლის კედლებში აღზრდილი ზეინკლები, ხარატები, მონტიორები, ელექტროშემდუღებლები, ელმავლის მემანქანეების თანაშემწეები ახლა სახელოვან შრომობენ რკინიგზებზე, ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა უბანზე. ამ სასწავლებელში მიიღეს მუშური ნათლობა სოციალისტური შრომის გმირმა გრიგოლ ბოგვერაძემ, ცნობილმა ზეინკალმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ტიტე ჯვარშეიშვილმა, თბილისის სალოკომოტივო დეპოს მოწინავე მემანქანემ, ლენინის ორდენოსანმა გაიოზ ბერუაშვილმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ნიკოლოზ მოსეშვილმა, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა პავლე გილაშვილმა...

ისინი ბევრი არიან, ისინი ყველგან არიან! სასწავლებელში მიღებულმა ცოდნამ, მუშურმა წრთობამ, სამშობლოსადმი გაღვივებულმა სიყვარულმა, გამრჯე, გულმართალ ადამიანებს ვრცელი შემოქმედებითი ასპარეზი გადაუშალა.



პრაქტიკაზე.



სამუშაო დღე დამთავრდა.

* * *

სანიმუშო წესრიგი და დისციპლინა ტრადიციით მოსდგამს ამ სასწავლებელს.

არჩეული პროფესიისადმი ღრმა სიყვარულიც აქ ტრადიციად ქცეულა.

ეს სიყვარული ყველგან, ყველაფერში, თითოეულ დეტალსა და წვრილმანშიც გამოსჭვივის.

თბილისის დეპოში, სადაც 81-ე ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეები პრაქტიკას გადიან, თბილისური მარკის მწვანე, გაკრიალებული ელმავლები დგანან. ზოგი მათგანი მარქაფშია, ზოგი რეისზე გასვლას ელოდება, ზოგსაც ტექნიკური გასინჯვა ესაჭიროება და თავის რიგს უცდის.

გოგორწყვილების საამქროში ელმავალთან ბიჭები დაფუსფუსებენ. შავად გაზინთლული ხალათები აცვიათ. ბუქსებს რეცხავენ.

უცხო კაცი ვარ და ყურადღებას არ მაქცევენ. რაღაც ენით გამოუთქმელი სისათუთითა და სიყვარულით დასტრიალებენ ელმავალს.

— ბიჭებო, ოთარ ნარიმანიძეს სად ვნახავ?— ვეკითხები საქმეში გართულ ახალგაზრდებს.

ოთარ ნარიმანიძე მეთვრამეტე ჯგუფის ოსტატია. სასწავლებლის დირექტორმა სიმონ ლომსაძემ მირჩია მისი ნახვა.

— როლანდ, ჩვენი ოსტატი საითაა თუ იცი?— ეკითხება შავგვრემანი ბიჭი მეგობარს. ახლაღა ვიგებ, რომ ეს ბიჭები მეთვრამეტე ჯგუფის მოსწავლეები ყოფილან.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო ვ. ჯეირანელისა

შევჩერდი, გავესაუბრე ბიჭებს. თანდათან გავშინაურდით. მერე შესვენებამაც მოგვისწრო და გულღიად აეწყო საუბარი.

— თქვენი მიკვირს, ბიჭებო, დეპოში რომ არ გაითხუნოთ, ქვეყანაზე ცოტაა სხვა სამუშაო?

ბიჭები გამომწვევად იღიმებიან.

— თქვენ რა, გამოცდას გვიწყობთ? — მეუბნება ერთი.

— ყველა რომ სხვა სამუშაოზე წავიდეს, ეს ელმავლები ვიღამ უნდა ატაროს?! — მეუბნება მეორე.

— ვისაც საით მიუწევს გული, იმ სამუშაოზე მიდის! — ახლა მესამე ებმება საუბარში.

სიტყვა სიტყვაა, მაგრამ ამ ბიჭებს საქმეშიც ეტყობათ, როგორ არიან შეყვარებულები თავიანთ პროფესიაზე.

აგერ ის ბიჭი — კირილე ჭვარშეიშვილი საბტრედიის რაიონიდანაა, სოფელ იანეთიდან. გედევან ვაშაკიძე და ბუდუ სანიკიძეც იქაურები არიან. კირილემ და გედევანმა საშუალო დაამთავრეს თუ არა, აიჩემეს, მეელმავლეები უნდა გავხდეთო. აიკრეს გუდა-ნაბადი და თბილისში ჩამოვიდნენ. ბუდუ მათზე უფროსია. დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი დაამთავრა. მერე ჯარი მოიარა. კომკავშირის რაიკომმა მაღაზიაში მუშაობა შესთავაზა, მაგრამ ბუდუმ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, კირილესა და გედევანის გზას დაადგა.

— ასეა, ბატონო, — იღიმება კირილე, — რაც სულში შეგილიტინებს, იმას ველარ მოეშვები.



ვორმულების საამქროში

* * *

ნუგზარ ხარაძეც აქ გავიცანი. ამ ახალგაზრდის გზა ცოტა სხვანაირად წარიმართა. სასწავლებელში იგი თავისი სურვილით მოვიდა, მაგრამ, როგორც იტყვიან, ცალი ფეხით შემოვიდა კოლექტივში. სწავლა უნდოდა და ისე, სხვათა შორის, აირჩია მეელმავლის პროფესია.

გავიდა ხანი. ნუგზარი ვერა და ვერ შეეგუა აქაურ რეჟიმს. სწავლაზე გული აიყარა. ერთ მშვენიერ დღეს განცხადება აახლა დირექტორს, საბუთები დამიბრუნეთო. როგორც შემდეგ გამოირკვა, სასწავლებლიდან ნუგზარის წასვლის მოთავეები თურმე მისი მშობლები ყოფილიყვნენ.

— ოსტატს უნდა ვუმადლოდე, თორემ ახლა აქ აღარ ვიქნებოდი, — გვეუბნება ნუგზარი.

გაიგო თუ არა ოთარ ნარიმანიძემ ნუგზარის ამბავი, დეპეშა აფრინა ახალდაბაში. ნუგზარ ხარაძის მშობლები მაშინვე გულხეთქებით ჩამოცვივდნენ თბილისში.

არავინ იცის, რა ელაპარაკა ოსტატი მათ. ერთი რამ ცხადია: მშობლებმა გადაჭრით განუცხადეს შვილს, — აქ უნდა დარჩეო.



შესვენებაზე.

საქმემ გატაცება იცის. თუ ალღოს აუღებ, დაინტერესდები, გულთან მიიტან — შეგიყვარდება კიდეც. მითუმეტეს, როცა ეს საქმე საინტერესო და საამაყოა. მემანქანის პროფესია კი სწორედ ასეთი გახლავთ. ახლა ეს კარგად იცის ნუგზარ ხარაძემ. აი, ამიტომ არის, რომ გულმოდგინედ სწავლობს და მოუთმენლად ელის იმ დღეს, როცა ელმავლის საჭეს მიუჯდება.



დილის ტუალეტი

* * *

ტექნიკურ სასწავლებელში ახალგაზრდების აღზრდის, მათი მუშად ფორმირების სული და გული ოსტატია. შეგირდები ცდილობენ ყველაფერში მიბაძონ ოსტატს, ყველაფერი ისე გააკეთონ, ისე მოიქცნენ, თუ გნებავთ, ისე დაიჭირონ თავი, როგორც ამას ოსტატი აკეთებს.

ოთარ ნარიმანიძე კი ყოველთვის საუკეთესო მაგალითია თავისი მოსწავლეებისათვის.

მეთვრამეტე ჯგუფის ოსტატი მხრებში გამართული, საშუალო ტანის ახალგაზრდა კაცია. ოთარმაც 31-ე ტექნიკური სასწავლებელი დაამთავრა. ნიჭიერი და საქმის მცოდნე ახალგაზრდა სასწავლებელში დატოვეს და ახლა თვითონ ზრდის და ასწავლის მომავალ მუშებს.

— მარტო ექიმებით, ინჟინრებით, ანდა აგრონომებითა და მომღერალ-მოცეკვავეებით შორს ვერავინ წავა! — ფიქრიანად გვეუბნება ოსტატი.

დიახ, ამ ახალგაზრდა კაცმა კარგად იცის, რომ საქართველოს დღევანდელ დღეს, მის მომავალს მტკიცე და მცოდნე მუშახელი სჭირდება, რომ მუშათა კლასის საიმედო ცვლის აღზრდა ჩვენი ძლიერების, სახალხო მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობის საფუძველია.

* * *

— გამარჯობა, ოსტატო!

— გაგიმარჯოთ, ბიჭებო!

როგორც კრუხს წიწილები, ყოველ დილით ისე შემოეხვევიან ხოლმე ოსტატს თავისი შეგირდები: როლანდ კელენჯერიძე, გედევან ვაშაკიძე, გი-

ვი ბენაშვილი, მურად ხაჩიძე, კირილე ჯვარშეიშვილი, ბუდუ სანიკიძე...

იწყება მეცადინეობა. ბიჭები გულისყურით უსმენენ ოსტატს. მერე შეკითხვებს აყრიან, ინტერესით ჩაჰკირკიტებენ თითოეულ დეტალს, ცდილობენ ისე ღრმად და საფუძვლიანად აითვისონ ყველაფერი, რომ ოსტატის შექება დაიმსახურონ.

ოსტატი და მისი შეგირდები გუმანით უხვდებიან ერთმანეთს გულის წადილს. რა თქმა უნდა, ყველას თავისი ხასიათი, თავისი განსხვავებული ბიოგრაფია აქვს, მაგრამ არის ერთი რაღაც უხილავი ძაფი, ერთი რაღაც საერთო, რომელიც ოსტატსა და მის შეგირდებს მტკიცედ შეკრულ მეგობრულ კოლექტივად აერთიანებს.

აბა მზრუნველი ოსტატის თვალსა და გულს რა გამოეპარება?!

— ბიჭებო, — უთხრა ერთ დღეს ოთარ ნარიმანიძემ თავის მოსწავლეებს, — სულიკო ქელბაქიანს უნდა მივხედოთ!

სულიკო ნიჭიერი ბიჭია, ყველას უყვარს, მაგრამ ბოლო ხანებში სწავლაზე გული აიცრუა, მეცადინეობას ხშირად აცდენდა. კიდევ უფრო მეტიც, თამბაქოს წევა დაიწყო, ვიღაც საეჭვო ბიჭებთან გააბა მეგობრობა.

მუშური ხასიათი აი აქ, ამ სასწავლებლის კედლებში ყალიბდება. სიმტკიცეს, პირდაპირობას, მოყვრისადმი პირში ძრახვას აქ იძენენ მუშათა კლასის ახალგაზრდა გვარდიელები.

მთელი ჯგუფი დაუპირისპირდა სულიკო ქელბაქიანს, რაც სათქმელი იყო, უთხრეს, შეახურეს, მეგობრული სასამართლო მოუწყეს.

— ვა, ძალაა?! — გაოგნებული გაიძახოდა სულიკო ქელბაქიანი.

— ძალაა!!!..

ამ მტკიცე პასუხში მთელი კოლექტივის ძალა, მთელი კოლექტივის ნება გამოსჭვიოდა. ამ ნებამ მოსტეხა და გამოაფხიზლა გზას აცდენილი ბიჭი, ამ ნებამ იგი ისევ დაუბრუნა თავის კოლექტივსა და სწორ გზას.

* * *

თბილისის 31-ე ტექნიკურ სასწავლებელში მოსწავლეებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი საუკეთესო სწავლის, შრომისა და გართობა-დასვენებისათვის.

ვათვალიერებთ სხვადასხვა ხელსაწყო-იარაღებით აღჭურვილ საზეინკლო საამქროს, კაბინეტ-ლაბორატორიებს, ბიბლიოთეკა-სამკითხველოს. როგორც ყველგან, საერთო საცხოვრებლის ოთახებში და ღამის პროფილაქტორიუმშიც სანიმუშო წესრიგი და სისუფთავე სუფევს, ყველაფერს ატყვია მზრუნველი ადამიანის ხელი.

ახლა სპორტულ მოედანსა და დარბაზს აღარ იკითხავთ?! ახალგაზრდებს აქაც საუკეთესო პირობები აქვთ შექმნილი.

ჩვენ მხოლოდ მეთვრამეტე ჯგუფზე და მათ ოსტატზე ვისაუბრეთ, მაგრამ ასეთი ჯგუფები აქ ბევრია. მომავალი სპეციალისტების აღზრდას სასწავლებელში ერთგულად ემსახურებიან შრომაში ნაწრთობი, მცოდნე, მაღალკვალიფიციური პედაგოგები: მიხეილ გამხოშვილი, ტატიანა ყუფარაძე, გიორგი გუდაძე, რეზო აფციაური, ისიდორე მჭედლიძე...

აი, ეს ბიჭები, თვალებში ნათელი რომ ჩასდგომიათ, ჩვენი ქვეყნის იმედი და მომავალი არიან. კიდევ ცოტა ხანი და ისინი ვაგონის შემკეთებელ ზეინკლებად, ავტობლოკირების მონტიორებად, ელმავლის შემკეთებელ ზეინკლებად, საკონტაქტო ქსელის მონტიორებად, სადგურის მორიგეებად, ელმავლის მემანქანეებად მოგვევლინებიან და თავდადებული შრომით ასახელებენ სამშობლოს.

**უშანგი ზარეკიძე**

# ხალხთა ძმურ ოჯახში

მოძმე მოლდაველმა, უზბეკმა და ყირგიზმა ხალხებმა ამას წინათ ზეიმით აღნიშნეს თავიანთი ეროვნული დღესასწაული — მოლდავეთის სსრ და მოლდავეთის კომპარტიის შექმნის 50 წლისთავი, უზბეკეთის სსრ და უზბეკეთის კომპარტიის შექმნის 50 წლისთავი, ყირგიზეთის სსრ და ყირგიზეთის კომპარტიის შექმნის 50 წლისთავი.

მოძმე რესპუბლიკების ზეიმი ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხმა გაიზიარა. ამ საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით ვაქვეყნებთ მოლდაველი, უზბეკი და ყირგიზი პოეტების ლექსებს.




## რამზ ბაბაჯანი
## ორი ლექსი

●

ამ ქვეყანაზე ბევრი ვნახე, ბევრი ვიარე,
ვნახე ზამთარიც და ზაფხულის პაპანაქებაც.
სიკეთეს გთხოვენ, ზრუნვა უნდათ ადამიანებს!
და ყოველივეს ჩემი ძალა როგორ გასწვდება!

მაგრამ ეს სული ჯერ ნორჩია, ბევრის გამგები,
ველ-მინდვრებს წვიმად ვევლინები დაურიდალი.
როცა სხვებს გულით ვასაჩუქრებ — უფრო ვმაღლდები
და ამიტომაც უფრო მეტად ვხდები მდიდარი.

●

შენს სიჭაბუკეს ნუ უღალატებ,
პირველ სიყვარულს — წმინდას და ალალს.
მაისის ვარდზე უფრო ანთე
და წყაროსავით იჩქეფე მარად.
სულ ცოტა — ორჯერ იცოცხლე მხოლოდ,
ყრმობა მეორედ — მზის შუქად მოვა
და ტრფობის სხივით აგავსებს ბოლოს,
სიხარულს მოგგვრის და არა გლოვას.
ორჯერ იცოცხლე, გწყალობდეს ბედი.
ორჯერ მოვკვდები — შენთვის და ჩემთვის.




## პავლე ბოცუ
## მე გაზაფხული შინ მივიყვანე...

პატარძალივით
გაზაფხული შინ მივიყვანე —
თეთრი, ცისფერი,
მშვენიერი და გამჭვირვალე.
თვით მდუმარება,
მიყუჟული და ფრთებმოხრილი,
ფერხთით დაეგო,
გაეშალა ჭრელი ნოხივით.
ვაზაფხულს მოაქვს
აბრეშუმის კალთის შრიალით
ნათელით სავსე
ალიონი იმედიანი.
მოკუმულ ბაგეს
თუ გამილღობს სიმღერის ტალღა,
დე, ამაჟღერდეს
მწვერვალებზე, ღრუბლებზე მაღლა!
რომ სულ ვეძიო
დასაწყისი ჩემი გზებისა,
თუგინდ ვერ განვვლო
სიკვდილამდე ეს გზა შვებისა.

რომ მწვანე ალით
აბრიალდნენ ნორჩი ბუჩქები,
პიცი ამ ალზე
უსათუოდ შევირუჯები.
რომ გორაკებზე,
ვით ზეიმზე ჩამწკრივებული,
მიაბიჯებდეს
ყაყაჩოთა მთელი კრებული.
და რომ ცხვრის ფარამ
ღრუბელივით გადაიაროს
ყაყაჩოების
სამფლობელო და სამზიანო.
პატარძალივით
გაზაფხული შინ მივიყვანე —
თეთრი, ცისფერი,
მშვენიერი და გამჭვირვალე.
ეს ხომ პირველი,
გაზაფხულის იყო ყვავილი,
გამლვალ ყინულის
შემდეგ მზეში გამოყვანილი.




## აალი ტოკომბაევი
## ჩემს შთამომავალთ

ყურადღებას გთხოვთ,
ერთი წამით, შთამომავლობავ!
იმას გიამბობთ,
ჩემმა გულმა რაც მიწყალობა.
ლენინგრადისკენ,
როცა „ისრის“ ქროლვა გიტაცებთ,
იცოდეთ, დაჭრილ
მიწაზე ხართ, დაჭრილ მიწაზე!
სარკმლიდან უცბად
გაიელვებს, როგორც ისრები
მინდორში, ტყეში
აღმართული ობელისკები.
აქ ხომ ოდესღაც
ბრძოლა იყო, ბრძოლა მედგარი
და მეომარი
არ უნახავს არვის შემკრთალი!
აქ ხომ იბრძოდა
ვინმეს მამა, ვაჟი, ძმობილი
მარად დაუღლელ
შაშხანასთან ხმაშეწყობილი.
მედგრად იბრძოდნენ,
არ იხევდა უკან არავინ,
მშობელ მიწაში
გაითხარა მათი სამარე.

აქ „ჩქარი“ არსად
არ ჩერდება, მიქრის „ისარი“.
შეჩერდით წამით!
ეს საფლავი გმირების არი!
ელვარე ხიშტი
და მეომრის გული მგზნებარე,
აი ამ ზღუდეს
სამუდამოდ გადაეფარნენ.
თქვენ მათ ბრძოლებზე
ჩაფიქრება გმართებთ ნამდვილად!
თქვენს ბედ-იღბალზეც
ჩაფიქრება გმართებთ ნამდვილად!
ჩვენ მარად მათი
მადლობელი ვართ და ვიქნებით,
არ მოსცილდება
მათ სახელებს ჩვენი ფიქრები!
აჰა, ეს ლექსიც —
ჩემმა გულმა რაც მიწყალობა,
საჩუქრად გქონდეს,
ჩემო კარგო შთამომავლობავ!
წინაპრის სიტყვის
დავიწყება არ შეიძლება!
ნურც გმირთა ხსოვნას
ნუ გაატანთ გადავიწყებას!

ლექსები თარგმნა რევაზ მარგიანმა.



# აქ ჩვენს მხარეში

ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების ქარხანამ სერიულად გამოუშვა ახალი ტიპის ჰიდრომეტრიული ხელსაწყო, რომელსაც მდინარის დინების სიჩქარის გასაზომად ხმარობენ. ხელსაწყოს დიდი გამოყენება აქვს ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობისას წყლის რეჟიმის ზუსტად დასადგენად.

პროდუქციის პირველი პარტია უკვე გაიგზავნა ბულგარეთში, კორეაში, ვიეტნამში, სირიაში, ფინეთში და ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა რესპუბლიკებში.



თბილისის პრეციზიული სახეხი ჩარხების სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს პროექტით, სახეხი ჩარხების ქარხანაში ათვისებულია მოდერნიზებული მაღალი სიზუსტის მრგვალად სახეხი უნივერსალური ჩარხი, რომელიც წინამორბედ ჩარხთან შედარებით 1,2-ჯერ ზრდის შრომისნაყოფიერებას და წარმოებას წელიწადში 7 ათასი მანეთის ეკონომიას აძლევს.

•

მცხეთის რაიონის სოფელ ძეგვში მიმდინარეობს საოჯახო ჭურჭლის ქარხნის მშენებლობა. ქარხანა საექსპლოატაციოდ გადაეცემა 1975 წელს.

სრული საწარმოო სიმძლავრით ამუშავების შემდეგ ქარხანა ყოველწლიურად გამოუშვებს 4 მილიონამდე მანეთის მომინანქრებულ ჭურჭელს და სხვადასხვა სახის საოჯახო პროდუქციას.



•

ქ. მახარაძეში დიდი მოწონებით სარგებლობს ჟდანოვის ქუჩაზე გახსნილი „მოხდენილ ნაკეთობათა სალონი“, რომელიც საყოფაცხოვრებო მომსახურებას უწევს მომხმარებლებს. უახლოეს ხანში რაიონში საყოფაცხოვრებო მომსახურების კიდევ რამდენიმე ახალი ობიექტი გაიხსნება. მწყობრში ჩადგება მოზაიკური ფილების, საოჯახო ტექნიკის შემკეთებელი, გაზქურების გასამართი პუნქტები.

•

სულ უფრო და უფრო კეთილმოწყობილი ხდება რაიონის ცენტრი ახმეტა. ამას წინათ აქ საექსპლოატაციოდ გადაეცა სასტუმროს ახალი შენობა.

სათიანოს უბნელმა ბავშვებმა, რომლებსაც მოშორებით უხდებოდათ სკოლაში სიარული, კარგი საჩუქარი მიიღეს: უბანში გაიხსნა ახალი სკოლა და საბავშვო ბაგა-ბაღი.

•

ახალციხის რაიონის ქალაქ ვალეს ქარხანა „ელექტროძრავას“ პროდუქციამ სახელი გაითქვა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. აქ დამზადებული ელექტრომანქანები იგზავნება სუდანში, ეგვიპტეში, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში.

ვალეში დამზადებული პროდუქცია დიდი მოწონებით სარგებლობს კუბაში. თავისუფლების კუნძულზე უკვე გაიგზავნა ელექტროძრავების დიდი პარტია. წლის ბოლომდე კუბაში კიდევ რამდენიმე ასეთი პარტია გაიგზავნება.

•

ახალციხეში რკინიგზის სადგურის მოედანზე დამთავრდა ორი ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. ახალ ბინებში შესახლდება აქატ-დიატომიტის მადაროთა სამმართველოს, ელექტროძრავების ქარხნის და სხვა საწარმოთა მუშა-მოსამსახურეების ასორმოცდაათამდე ოჯახი.

ქალაქის განვითარების გეგმა ითვალისწინებს უახლოეს წლებში 12-14 სართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობას.

•

მემანქანე გ. ცხოვრებაძეს და მის თანაშემწეს რ. გელაშვილს მატარებელი ხარაგაულ-ძირულას გადასარბენზე მიჰყავდათ, როცა შეამჩნიეს, რომ ბოლო ვაგონს ცეცხლი მოსდებოდა.

რკინიგზელები არ დაიბნენ. მძიმე სატვირთო შემადგენლობა სწრაფად შეაჩერეს, ცეცხლმოდებულ ვაგონს ეცნენ და ხანძარი ჩააქრეს.

ვაგონებში ჩატვირთული დიდძალი სახალხო დოვლათი დაღუპვას გადარჩა.



აბასთუმნის ასტროფიზიკის ობსერვატორიაში დამონტაჟდა ეგრეთ წოდებული დიდი ავტომატური მაპროგრამირებელი ტელესკოპი „აზტ-11“, რომელიც ლენინგრადის ოპტიკურ ქარხანაში დამზადდა.

ტელესკოპის სარკის დიამეტრი 1 მეტრი და 25 სანტიმეტრია. ტელესკოპი შეიარაღებულია თანამედროვე მართვითი მანქანებით, რომლებიც მოკლე დროში ამუშავებენ მიღებულ უამრავ ინფორმაციას.



დაბა ასპინძის მეცხოველეობის ფერმას მგელი შეეჩვია და მუსრს ავლებდა ცხვრებს. განთქმული მონადირე თედო ბერიძე ძუ მგლის კვალმა ნადირის ბუნაგთან მიიყვანა. მონადირემ მგლის ექვსი ლეკვი შეიპყრო, მეორე დღეს კი დედა მგელს ჩაუსაფრდა და სიცოცხლეს გამოასალმა.

თედო ბერიძეს დღემდე ასობით მტაცებელი ნადირი ჰყავს მოკლული.



მახარაძის რაიონის სოფლების ვაკისჯვრისა და შემოქმედის სამონადირო მეურნეობას ვრცელი ტერიტორიები უჭირავს. აქ მომუშავე ადამიანებს არაერთხელ დაუცავთ ახლომახლო მდებარე სოფლების მოსახლეობა გარეული ნადირისგან.

განსაკუთრებით გამოიჩინა თავი 60 წელს მიღწეულმა ეგერმა ბორის სიამაშვილმა. ოფიციალური ცნობით მას უკვე 200-ზე მეტი დათვი ჰყავს მოკლული.

•

სანიორე თელავის რაიონში ერთ-ერთი ლამაზი, მდიდარი და კეთილმოწყობილი სოფელია. ბოლო ხანებში აქ აშენდა საბავშვო ბაღი, კეთილმოწყობილი კულტურის სახლი, სადაც საღამოობით თავს იყრიან კოლმეურნეები და სოფლის ახალგაზრდები.

ამას წინათ სანიორეს შეემატა სასოფლო საბჭოს ახალი, კოხტა შენობა.

•

გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვებაში მეფრინველეობის ფაბრიკის მუშებისათვის აშენდა კოტეჯური ტიპის 20 ორბინიანი საცხოვრებელი სახლი. ახალი ბინების საერთო ფართობია 3.800 კვადრატული მეტრი.

მშენებლობას აწარმოებდა გამარჯვების მოძრავი მექანიზებული № 44 კოლონა, რომლის ხელმძღვანელია მიხეილ გოგოძე.

სოფელში შენდება ახალი აბანო და საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი.



აი რას წერდა „ივერია" 1895 წელს:

დაბადებიდან 150

წლისთავი

# რაფიელ ერისთავი



> არ გავცვლი სალსა ოდეებსა
> უკვდავებისა ხეზედა,
> არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს
> სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!..

დღევანდელი დღე საქართველოში შეადგენს რაფიელის სრულ საკუთრებას. სწავლული და მოსწავლე, მხცოვანი და ჭაბუკი, გლეხი და თავადი, ქალი და ვაჟი, ბარად და მთად, სოფლად, დაბად და ქალაქად ჰბჭობს, მსჯელობს, ლაპარაკობს იმ სახიქადულო მამულიშვილზე, რომლის „გულმა ამოსთქვა სიტყვა კეთილი", რომელმაც დაგვასაჩუქრა ხელიხელ საგოგმანებელი თბოლი მარგალიტებრივი ლექსებით, რომელთა კითხვას არა ერთი გზის დაუტკბივართ, ვუნუგეშივართ, გაუმხნევებივართ, ზნეობრივ გავუზრდივართ და გაუფაქიზებივართ...

რისთვის მოსულან ამოდენა წარმომადგენლები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან, თუ არ იმისთვის, რომ პირადად გამოუცხადონ გულითადი პატივისცემა და წრფელი თანაგრძნობა იმ პირს, რომელსაც თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე შეუწირავს დედა-ენის, მამულისა და მშობელი ერის სამსახურისათვის, რომელსაც სიცოცხლეში ულხენია მშობელი ერის სიხარულით და უკვნესია მისივე კვნესით, რომელმაც უკვდავი ლექსებით, ღრმა გრძნობებით და ხელოვნური სურათებით გადაგვიშალა თვალ-წინ ქართველის გულის სივრცე-სიფართოვე, ქართულის ენის სიღრმე-სიმდიდრე, ქართველი გლეხის ჭირი და ლხინი, თანდილა, ბერუა, თინია და სხნიეები ავი და კარგი, მათი გრძნობა და მისწრაფებანი! სალმრთოდ ჰსჩნევია და მიაჩნია დღესაც ქართველს აღნიშნული საგნები, ძვირად აფასებს და ღრმად პატივს სცემს იგი ყველას, ვინც-კი მადლიანი კალმით ეხება ამ საგნებს და ხელოვნურად, გრძნობიერად, მარჯვედ, ფსიქოლოგიური სინამდვილით გამოსთქვამს მათ სიდიადეს, მათ სიმაღლეს და მნიშვნელობას. ფასდაუდებელ იუბილარს, როგორც ქართველი ერის ღვიძლ შვილს, კარგად ჰსმენია, რა იზიდავს ქართველის გულს, რა მიაჩნია ქართველის გულს, რა მიაჩნია ქართველს ყველაზე უძვირფასესად, რას ევედრება იგი მუდამდღე და სწორედ ამ საგნების საგალობლად, ამ საგნების საქებლად, ამ საგნების დასახურათებლად უშრომია მას დაუღალავად მთელი ორმოცდაათი წელიწადი, უშრომია, რასაკვირველია, იმ მიზნით, რომ უფრო დაუახლოოს იგინი ქართველის გულს, მეტად შეაყვაროს იგინი მას, მეტის ძალით აგრძნობინოს ქართველს სამშობლოს სიყვარული, დედა-ენის უძლრესობა და მშობელი ერის საკეთილდღეოდ უანგარო მუშაობის სიტკბოება.

„ივერია", № 229, 1895 წ. 24 ოქტომბერი

კვირას, 22 ოქტომბერს, თბილისმა დიდი ამბით გადაიხადა ქართველი ეროვნული პოეტის რაფიელ ერისთავის ორმოცდაათი წლის მოღვაწეობის იუბილე.

დილის ათ საათიდან რამდენიმე ათასი კაცი მოგროვდა ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, 11 საათზე მოვიდა ეტლი, რომელშიაც ისხდნენ იუბილარი და ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი.

დიდძალი ხალხი დაიძრა და გასწია ქართულ თეატრისაკენ, სადაც წაიყვანეს იუბილარიც. 12 საათზე აიხადა ფარდა და საზოგადოების თვალწინ გადაიშალა მშვენიერი სურათი. სცენაზე მარჯვნით აღმართული იყო იუბილარის ესტრადა. როგორც კი გამოჩნდა რაფიელ ერისთავი, მთელი თეატრი ფეხზე წამოდგა და ერთხმად იგრიალა „ვაშამ". ესტრადის ქვემოთ, იუბილარის მარჯვნივ დაჯდა აკაკი, მარცხნივ ილია. გურულებმა და რაჭილის ხორომ იმღერა ეროვნული მოტივები და შემდეგ დაიწყო მილოცვები.

სიტყვები წარმოთქვეს აკაკიმ, ილიამ, გ. წერეთელმა, გ. სუნდუკიანცმა და ივანე მაჩაბელმა.

„ივერია", № 229, მოწინავე. 1895 წ. 24 ოქტომბერი

თქვენ ეკუთვნით იმ მარად დაუვიწყარ ქართველ მოღვაწეთა გუნდს, რომელიც ვერ შეაფერხა ვერა დაბრკოლებამ, რომელსაც ვერ გაუტეხა გული ვერა უკუღმართმა გარემოებამ. არ იყო სტამბა, მაგრამ თქვენი ნამდვილი ქართული, მადლიან გულიდან ამონადენი, სიმღერა-ლექსები ხელთნაწერად ეფინებოდა საქართველოში, ეფინებოდა და ზრდიდა-ამაგრებდა სიყვარულს მრავალ-ტანჯულ ტურფა მამულისას.

იმ ღვაწლისა და სამსახურს, რომელიც თქვენ გაუწიეთ სამშობლო მწერლობას, — თუ ენის გამშვენიერებით და ნამდვილ ხალხური კილოს მეძლვნით და თუ ქართველის კაცის გრძნობიერ გულის ზედმიწევნილი და თან ღრმა პოეტურ შემკულობით, — ღირსეულად დააფასებს ჩვენი მწერლობის მომავალი ისტორია.

ბრ. [illegible]

„ივერია", № 231, 1895 წ. 26 ოქტომბერი

# მგოსანი ზუგდიდში

გამოჩენილი პოეტი რაფიელ ერისთავი 1857—1868 წლებში ზუგდიდში ცხოვრობდა. როგორც ცნობილია, აქ იგი ოლქის უფროსად დანიშნეს სამეგრელოს გლეხთა აჯანყებასთან დაკავშირებით. ბუნებრივია, მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ადგილობრივ მთავრობასთან, გამოჩენილ ადამიანებთან. იგი მოწმე იყო ბევრი ისტორიული ფაქტისა.

რაფიელ ერისთავი აჯანყების მეთაურ უტუ მიქავასა და ეკატერინე ჭავჭავაძის შეხვედრის მომსწრეა.

აი, რას წერს კ. ბოროზდინი ამის შესახებ: „...ერთხელ ზუგდიდის ოლქის უფროსმა, თავად რაფიელ ერისთავმა, მარტვილის მონასტერში შემოიარა. თან ახლდა ცნობილი ბელადი აჯანყებისა უტუ მიქავა... მონასტერში ნადედოფლარიც მივიდა. ერისთავი შესაფერი პატივისცემით მიეგება. ეკატერინემ სთხოვა ერისთავს, დამჯდარიყო და მასთან ლაპარაკი გაება. მოართვეს ჩაი. ამ დროს მისი ამალის კაცმა უჩურჩულა ნადედოფლარს, — მონასტერში თავად ერისთავს მიქავა ახლავსო.

ამ ამბავმა დიდად დააინტერესა ეკატერინე და ითხოვა მისთვის წარედგინათ უტუ მიქავა. როგორც დაცინვით თქვა, სამეგრელოს რევოლუციის დანტონი. ერისთავმა იხმო მიქავა. ის ამოვიდა აივანზე და მდაბალი სალამი ჰკადრა ნადედოფლარს. დედოფალმა იგი უფრო ახლოს მოიხმო და მეტად ალერსიანის კილოთი დაუწყო ლაპარაკი:

— შვილო, — გლეხებისაგან არჩეული მეთაური რატომ პირდაპირ ჩემთან არ მოხვედი და არ მომახსენე მათი გაჭირვება და უბედურება?"

* * *

რაფიელ ერისთავის არქივში აღმოჩნდა აგრეთვე ეკატერინე ჭავჭავაძის წერილი, დათარიღებული 1860 წლით. აი, ისიც: „თქვენო ბრწყინვალებავ კნიაზო რაფიელ დავითის ძევ! წარსულს ქრისტეშობას და მომავალ ახალ წლის დღესასწაულს მოგილოცავთ. ღმერთსა ვსთხოვ, მსგავს დღესასწაულს მიგებებოდეთ სურვილისამებრ თქვენისა.

გთხოვ, თქვენი მშვიდობის ამბავი მიბრძანო.

თქვენის ბრწყინვალების წარმატების ღვთისადმი მთხოვნელი კნეინა ეკატერინა დადიანისა".

* * *

საარქივო დოკუმენტებიდან ჩანს, რომ რაფიელ ერისთავს უხდებოდა ზომების მიღება ყმის გასაჩუქრების, ქალის მოტაცებისა და ზოგიერთი სხვა მავნე ჩვეულების წინააღმდეგ. მოურავეებმა იცოდნენ, რომ ამ მხრივ რაფიელი არავითარ დათმობაზე არ წავიდოდა და სასწრაფოდ აცნობებდნენ მდგომარეობის შესახებ.

აი, ადგილი რაფიელ ერისთავის ერთი განკარგულებიდან:

„მოურავ პეხუ ხორავას

... ნაჩუქრებათ მოხსენებული გოგო ჩამოართვი ჩხოლარიას და მიუბრუნე მეჭირისუფლესა მისსა... აღსრულებისათვის მომახსენე ამ ქაღალდებისა წარმოდგენითა.

ზუგდიდის ოკრუგის ნაჩალნიკი

თავად რაფიელ ერისთავი

1858 წ. 24 თებერვალი".

რაფიელ ერისთავის განკარგულება — გასაჩუქრებული ყმის საკუთარ სახლში დაბრუნების შესახებ შესრულებულა. საქმეს დართული აქვს 1858 წლის მარტით დათარიღებული რაპორტი პეხუ ხორავასი, რომელშიც, სხვათაშორის, აღნიშნულია: „ჩავაბარე გოგო იგი მეჭირისუფლესა მისსა მთხოვნელს თავადს მანუჩარ თემურყვას-ძე ანჩაბაძეს".

იქვეა ანჩაბაძის ხელწერილი გოგოს ჩაბარების შესახებ.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან ერთად რაფიელი „ზუგდიდის პერიოდში" ლიტერატურულ მოღვაწეობასაც ეწეოდა. წერდა ლექსებს, რომლებშიც მოცემულია გლეხთა აუტანელი მდგომარეობა.

ზუგდიდში ყოფნის დროს დაიწერა აგრეთვე ლექსები: „რისთვის მიყვარხარ" (დაიბეჭდა „ცისკარში" 1858 წელს), „ყადის ჯორი" („ცისკარი", 1861 წ.), „სიყვარული" („ცისკარი", 1861 წ.) რაფიელ ერისთავმა ზუგდიდშივე დაწერა „ნაამბობი მოხუცისა", „წრეს გადასული წრეში შემოსულს", „შავი ზღვა" და სხვ.

* * *

თბილისი. 1954 წლის 10 ნოემბრის საღამო... ბარნოვის ქუჩაზე (ყაზბეგის ქუჩის კუთხესთან) სახლი... მესამე სართული... დიდი დარბაზი...

კედელთან მიდგმულ საწოლზე წევს მოხუცი ქალი და წიგნს ათვალიერებს. უთხრეს ზუგდიდიდან ჩამოვიდა კაცი და თქვენთან საუბარი სურსო.

იგი — ანასტასია რაფიელის ასული ერისთავი-კახიძე — 85 წლის მანდილოსანი, წამოიწია, წიგნი დადება, შემომხედა. ერთხანს დუმდა, მერე დაბალი ხმით თქვა:

— მამაჩემს უყვარდა ზუგდიდი. იქ ქუჩაც გაიყვანა, ჭადრები დარგო, მაგრამ ჭადრები, მგონი, მოუჭრიათ, მართალია, შვილო?

— არა, ქალბატონო, ჭადრები კი არ მოუჭრიათ, გასხლეს, განაახლეს. უცლიან პოეტის ხეივანსა და მალე რაფიელის ძეგლსაც აღმართავენ.

ანასტასია ერისთავს სახე გაებადრა,

დარბაზში იყო ანასტასიას ჭაღარა ქალიშვილი, ამ უკანასკნელის ვაჟი და ამ ვაჟის პატარა ბიჭი — რაფიელის შვილიშვილის შვილიშვილი.

შევკითხე: თუ დარჩა ოჯახს რაიმე პოეტის არქივიდან? — მიპასუხეს:

— არაფერი. მთელი არქივი სახელმწიფო მუზეუმმა შეიძინა.

— რა გქონდათ მაინც ზუგდიდის მოსაგონარი?

— ბევრი რამ, მათ შორის ერთი ძვირფასი ვერცხლის ლანგარი, — თქვა პოეტის ქალიშვილმა, — ლანგარს ჰქონდა წარწერა, რომლიდანაც ჩანდა, რომ ის პოეტისთვის ესახსოვრებინათ ზუგდიდელ მასწავლებლებს.

* * *

ერთხელ რედაქციის თხოვნით სახალხო პოეტმა იოსებ გრიშაშვილმა დაწერა მოგონება ზუგდიდზე, რომელიც ასე მთავრდება:

„სულ ორჯერ ვიყავი მეთქი ზუგდიდში...

ქართული ანდაზა ამბობს „ერთი ნახვა ცნობაა, ორი ნახვა ძმობაა". მე ეს ძმობა დიდხანს მინდა ვატარო გულში... რადგან რაფიელ ერისთავის მიერ დარგული ზუგდიდის ჭადრების ნიავი ყოველდღე მეჩურჩულება ახალ-ახალ ამბებს: ზუგდიდის წინსვლაზე, მის ახალგაზრდობაზე, კულტურის აყვავებაზე და ჩვენი ქვეყნის მეურნეობის მოწინავე ადამიანთა გმირობაზე".

... ზუგდიდში არის რაფიელ ერისთავის ქუჩა, ქალაქის ჭადრების დიდი ხეივანი, რომელიც რაფიელის ძეგლით იწყება.

ძეგლი მუდამ შემკობილია ცოცხალი ყვავილებით. ზუგდიდი პატივს სცემს დიდი პოეტის ხსოვნას.

შალვა შენგელი

# სამუზეუმო საქმიანობა

რაფიელ ერისთავს გიმნაზია ახლად დამთავრებული ჰქონდა, როდესაც თარჯიმნად შეუდგა მუშაობას თუშ-ფშავ-ხევსურეთის საოლქო სამმართველოში. ამ დროიდან დაიწყო მისი როგორც მწერლის, მეცნიერის, საზოგადო მოღვაწისა და სახელმწიფო აპარატის მუშაკის მდიდარი ბიოგრაფია. 1846-1870 წწ. რ. ერისთავი მოხელის მაგიდას არ მოსცილებია. შრომისმოყვარე, ღრმად ერუდირებული მოღვაწე ყოველთვის გატაცებით მუშაობდა ლიტერატურისა და მეცნიერების სფეროში, აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მეცნიერების სფეროდან რ. ერისთავი განსაკუთრებული ინტერესით დაეწაფა ეთნოგრაფიულ კვლევა-ძიებას და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ დარგის განვითარებაში.

1845 წელს დაარსებულ იქნა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოება ეთნოგრაფიული განყოფილებითა და მუზეუმით, რომლის მიზანი იყო პერიოდულ ორგანოში ეთნოგრაფიული ნარკვევების გამოქვეყნება, ხოლო მუზეუმში — კოლექციების თავმოყრა და დაცვა. აღნიშნული საზოგადოების გაფართოებული პერსპექტიული გეგმის შესაბამისად 1851 წელს თბილისში შეიქმნა მისი კავკასიური განყოფილება, რომლის მუშაობაში სხვა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებთან (გრიგოლ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, დიმიტრი ყიფიანი, პლატონ იოსელიანი) ერთად, იმთავითვე აქტიურად ჩაება რ. ერისთავი.

რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიური განყოფილების შექმნიდან ერთი წლის შემდეგ დაარსებულ იქნა კავკასიური მუზეუმი, რომლის პირმშოა აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი. ბუნებრივია, რომ სამუზეუმო მუშაობის წარმატება პირველ ყოვლისა დაკავშირებული იყო კოლექციების შეგროვება-კლასიფიკაციის საქმესთან, ხოლო მისი განხორციელება საჭიროებდა კვალიფიციური სპეციალისტების შემოკრებას.

რთული ამოცანის წინაშე აღმოჩნდა მუზეუმის დირექცია: დღის წესრიგში დადგა ისტორიული და ეთნოგრაფიული კაბინეტების ექსპონატების დაზუსტება-კლასიფიკაციის საკითხი. ასეთი სამუშაოს შესრულება შეეძლო მხოლოდ განსწავლულ ეთნოგრაფს, რომელიც ნივთის რაობის გარკვევასთან ერთად მის ადგილობრივ სახელწოდებასაც დაადგენდა. მუზეუმის მესვეურებმა ასეთ პიროვნებად სცნეს რ. ერისთავი, რომელსაც ამ დროისათვის დამსახურებული ავტორიტეტი ჰქონდა მოხვეჭილი გაზეთ „კავკაზ"-ში გამოქვეყნებული ეთნოგრაფიული წერილებითა და მის მიერ შეკრებილი ფოლკლორული მასალებით. რაფიელ ერისთავი მიწვეულ იქნა მუზეუმში.

იმავე წელს მუზეუმის მდივანი და კავკასიური განყოფილების ბიბლიოთეკარი ა. ბერჟე მოულოდნელად სპარსეთში მიავლინეს. მისი წასვლა რომ არ დაბრკოლებულიყო, უნდა მოენახათ ისეთი კაცი, რომელიც არა მარტო ამ მოვალეობის შემსრულებლად გამოდგებოდა, არამედ მუზეუმისა და ბიბლიოთეკის ქონებასაც აღწერა-შემოწმების კარუშე ჩაიბარებდა. საზოგადოების მესვეურებმა ამ შემთხვევაშიც რ. ერისთავს მიმართეს. მისი თანხმობის მიღების შემდეგ განყოფილების გამგებელმა კომიტეტმა მუზეუმის დირექციასთან შეთანხმების გარეშე მიიღო გადაწყვეტილება — მუზეუმის მდივნად და განყოფილების ბიბლიოთეკარად რ. ერისთავის დროებით დანიშვნის შესახებ. ა. ბერჟეს დაბრუნების შემდეგ რ. ერისთავმა კომიტეტს წარუდგინა დაკისრებული სამუშაოს შესრულების ანგარიში. მაშინდელი ოქმებიდან ჩანს, რომ ამ ანგარიშთან ერთად რ. ერისთავმა პირველმა კომიტეტს წარუდგინა აგრეთვე მუზეუმის კატალოგების ნიმუშები. როგორც მისი ანგარიში, ისე კატალოგიზაციის პროექტი დასკვნისათვის გადაეგზავნა მუზეუმის დირექციას, ხოლო დაკისრებული მოვალეობის კვალიფიციურად შესრულებისათვის რ. ერისთავს მადლობა გამოეცხადა.

მუზეუმის ფონდებში მუშაობის დროს რ. ერისთავმა შეადგინა იმ ნივთების სია, რომლებიც მოკლებული იყვნენ სამუზეუმო ექსპონატების ღირსებას და კატალოგიდან ამოღებას იმსახურებდნენ. როგორც ჩანს, მუზეუმის დირექცია ბოლომდე ვერ გაერკვა რ. ერისთავის წინადადების ჭეშმარიტებაში და კატალოგიდან ამოიღო მის მიერ დასახელებული ნივთების მხოლოდ ერთი ნაწილი, მაგრამ ამ ფაქტის მნიშვნელობა იმაშია, რომ მუზეუმის კატალოგიზაციის პირველ ავტორად გვევლინება რ. ერისთავი.

მუზეუმის დაარსების პირველ წელს (1852 წ.) მას ხელმძღვანელობას უწევდა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიური განყოფილების გამგებელი კომიტეტი. 1853 წელს კი არჩეულ იქნა დირექცია სამი წევრის შემადგენლობით. როგორც წესი, მუზეუმის ადმინისტრაციაში დროდადრო ცვლილებები ხდებოდა, რაც ზოგჯერ მოითხოვდა ახალი კადრების შერჩევას. დირექციის შემადგენლობაში ასეთი ცვლილება მოხდა 1855 წელსაც, როდესაც გამგებელმა კომიტეტმა მუზეუმის დირექტორი ეთნოგრაფიის დარგში ვ. სოლოგუბი ამ თანამდებობიდან გაათავისუფლა და განყოფილების საერთო კრებაზე მის შემცვლელად წამოაყენა ორი კანდიდატურა — იმ დროისათვის უკვე სახელმოხვეჭილი მეცნიერის ი. ბარტოლომეისა და რ. ერისთავისა. როგორც კრების ოქმშია აღნიშნული, 24 წევრიდან ნახევარმა ხმა მისცა ი. ბარტოლომეის და ნახევარმა რ. ერისთავს. ხმების თანასწორი გაყოფა გვიჩვენებს, თუ რაოდენ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა რ. ერისთავი ეთნოგრაფიის დარგში. კენჭისყრის ასეთი შედეგები აღიარება და დადასტურება იყო იმისა, რომ რ. ერისთავი საფუძვლიანად ერკვეოდა სამუზეუმო საქმის სპეციფიკაში და შეეძლო მისი ხელმძღვანელობა. ასე რომ არ ყოფილიყო, ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე მეტოქეობას ვერ გაუწევდა ცნობილ მეცნიერსა და მაღალი ჩინის მქონე რუს მოხელეს. ეს მეტოქეობა იმდენად აშკარა იყო, რომ კრებამ საბოლოო გადაწყვეტილება ვერ მიიღო. საქმეში ჩაერია გამგებელი კომიტეტი და დირექტორად დანიშნეს ი. ბარტოლომეი იმ მოტივით, რომ ის შედარებით მუდმივად იმყოფებოდა თბილისში, ხოლო ქუთაისში მუშაობის გამო რ. ერისთავი ვერ შესძლებდა სამუზეუმო საქმიანობაში სისტემატურ მონაწილეობას. კომიტეტის გადაწყვეტილება საერთო კრებამაც დაამტკიცა, მაგრამ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია არა ამ გადაწყვეტილების საფუძველი, არამედ ის ფაქტი, რომ 1855 წელს რ. ერისთავმა სამუზეუმო საქმიანობაში დამსახურებული ავტორიტეტი მოიხვეჭა.

სწორედ ამ წელს აირჩიეს ის რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიური განყოფილების ნამდვილ წევრად. ყოველივე ეს გვიჩვენებს, რომ რ. ერისთავი ეთნოგრაფიაში მუშაობას ორი მიმართულებით ავითარებდა — წერდა შრომებს და ეწეოდა სამუზეუმო საქმიანობას. მან, როგორც ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის საუკეთესო მცოდნემ, დიდი როლი შეასრულა კავკასიური მუზეუმის ზრდასა და განვითარებაში, მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული კოლექციების შეგროვებაში, კლასიფიკაციაში, რაობის განსაზღვრასა და კვალიფიციურ აღწერილობაში. ასეთი დამსახურების გამო რ. ერისთავმა მტკიცედ დაიმკვიდრა თავისი ადგილი სამუზეუმო საქმის განვითარებაში, ჩვენი დიდი სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიაში.

ვალერიან ითონიშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.



ვალია ოდიშარია

# სოფელს ადამიანები ამშვენებენ

ლამაზია ოჩამჩირის რაიონის სოფელი კინდღი. აფხაზეთში არცთუ ისე ცოტაა ასეთი სოფლები. ამ სოფლის მშვენება და სილამაზე ის ადამიანები არიან, რომლებიც ჯერ კიდევ ოცი-ოცდაათი წლის წინათ ჩამოსახლდნენ აქ და ჭაობიანი, ეკალბარდებით დაფარული ადგილები ამოძირკვეს, გაიყვანეს გზები, გააშენეს პლანტაციები და ხეხილის ბაღები...

## ლიდა მასწავლებელი

ზარი დაირეკა და მასწავლებელი აჩქარებული ნაბიჯით შევიდა. საკლასო ოთახში. სია ამოიკითხა და დაფასთან მოსწავლე გაიძახა. სიცივეს დააბრალა ბავშვის გალურჯებული, გაფითრებული სახე. უნდოდა ეკითხა, რა მოგივიდაო, რომ მოსწავლე დაფასთან ჩაიკეცა. მოსულიერებული ბავშვი სამასწავლებლოში შეიყვანა და კოლეგებს თვალით ანიშნა, მარტო დაგვტოვეთო. ჩანთიდან პურის ნატეხი ამოიღო და გაუწოდა. ბავშვმა დარცხვენით შეხედა მასწავლებელს და პური გამოართვა...

ომის უკანასკნელი წელი იყო. უჭირდა სოფელს, უჭირდა ლიდა მასწავლებელსაც. ლიდა ხოფერია კინდღში ახალი გადმოსული იყო საცხოვრებლად ორი პატარა ბავშვით. მეუღლის დაღუპვის ამბავიც იმ წელს მოუვიდა.

გაკვეთილების დამთავრების შემდეგ კოლმეურნეობაში მიდიოდა სამუშაოდ, გვიან ღამით კი ცეცხლის შუქზე ასწორებდა რვეულებს, ავსებდა დღიურებს.

— ჩემი ყველაზე ბედნიერი დღე? — შეკითხვას იმეორებს ლიდა მასწავლებელი და ფიქრიანად გვეუბნება, — მახსოვს, უამრავი ხალხი მოჰყვებოდა სანაპიროს, ყველანი ტიროდნენ, ვტიროდი მეც... იმ დღეს ომი გათავდა... ბედნიერი დღეები კიდევ ბევრი მქონდა. რა დამავიწყებს, ჩემი შვილები რომ დაუბრუნდნენ სკოლას და ჟურნალებით ხელში გაკვეთილების ჩასატარებლად შევიდნენ საკლასო ოთახებში...

რამდენი ასეთი ბედნიერი დღეები ჰქონდა, როცა თავისი აღზრდილების წარმატებებს იგებდა — ზოგი მასწავლებელი გახდა, ზოგი ექიმი, ზოგი ინჟინერი, ზოგი აგრონომი. რამდენი მისი აღზრდილი დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს.

მეორე წელია, რაც პენსიაში გავიდა ლიდა ხოფერია. რა ექნა, შვილიშვილებს ბებიის ხელი სჭირდებოდათ. თავისი გზა ახალგაზრდა შვილსა და რძალს დაუთმო.

— გულგრილად არ შემიძლია ბავშვების გვერდის ჩავლა. გუშინ მატარებლიდან ჩამოვედი, ბაქანზე ბავშვები დავინახე. ერთმა მათგანმა მეორეს ქვა ესროლა. მივედი, დავარიგე, როგორ გაისუსნენ. გაკვეთილი წარმომიდგა თვალწინ. არა, არა, მიჭირს, ძალიან მიჭირს სკოლის გარეშე!.. — სევდანარევი ღიმილი ჩაუდგა თვალებში ლიდა მასწავლებელს, — მაგრამ ჩემი შვილიშვილები ყველაფერს მაძლებინებენ!..

## სოფლის მალამო

ნაწვიმარი დილა იყო. ყოფილი აფთიაქის აივანზე გამხდარი, საშუალო ტანის, მხრებზე შალმოსხმული ქალი შემოგვეგება.

ეზოში მოხუცი ქალი შემოვიდა. ვალიამ მოიბოდიშა და გვერდით, ახალი აფთიაქის შენობისაკენ გაეშურა. მერე სხვებიც მიემატნენ. მასპინძლის „განთავისუფლებამდე" ჩვენთან სოფლის ახალგაზრდა მასწავლებელი მოვიდა, გაუხარდა ნაპოლეონ მესხიას, ჩვენი სტუმრობის მიზეზი რომ გაიგო.

— იცით, რამდენჯერ მიფიქრია, მე თვითონ დამეწერა ნარკვევი ვალია დეიდაზე და „სოფლის ცხოვრებისთვის" გამეგზავნა.

შევეკითხე, როგორ დაწერდით-მეთქი.

ახალგაზრდა მასწავლებელი ჯერ დაფიქრდა, მერე კი დინჯად დაიწყო:

— აი, თუნდაც გუშინ... საღამოს ვაშლის კრეფაში გვეხმარებოდა ვალია დეიდა. კრეფა რომ დავამთავრეთ, ეზოში დავსხედით და ვახშმის მოლოდინში ვსაუბრობდით. ათის-ნახევარი იქნებოდა, ვიღაცამ დაიძახა: მასპინძელოო. გავიხედე. ჭიშკართან ახალგაზრდა ქალი დგას და მორიდებით მეუბნება, აქეთ მომასწავლეს, აფთიაქის გამგე ყოფილა თქვენთან, დამსვენებელი ვარ, ბავშვი გვყავს ცუდად და წამლები გვჭირდებაო. ვალია დეიდამ მოჰკრა თუ არა ყური საუბარს, იმწუთასვე წამოხტა და გაჰყვა. თერთმეტ საათამდე ამზადებდა წამლებს. ყოველთვის ასეა. მისთვის სამუშაო დღე და საათი არ არსებობს — ყოველთვის აფთიაქშია...

კიბესთან მოსულმა ვალიამ ჩვენს საუბარს მოჰკრა ყური და გაეღიმა.

ვალია ოდიშარია ოცდახუთი წლის წინათ გამოგზავნეს აქ სამუშაოდ. გამოგზავნეს და აქვე დარჩა. შეუყვარდა სოფელი, ადამიანები და, რაც მთავარია, უყვარს თავისი საქმე. სოფელმაც შეიყვარა აფთიაქის გამგე.

## ოთარი და მისი თანატოლები

კინდღის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ერთ-ერთ მოწინავედ № 10 ბრიგადა დაგვისახელეს. მივედით, გავიცანით ახალგაზრდა ბრიგადირი ოთარ ახვლედიანი. მისი ბრიგადის წევრებიდან უმეტესობა ახალგაზრდები არიან. ჩაის მწკრივებს ჩასდგომოდნენ მიმოზა აბრალავა, ციცინო გვიშიანი, დები სვეტა და ლიდა მიხაილიდები, ნუნუ ჯორგოლიანი.

— ჩვენი ბრიგადის წარმატება მარტო ახალგაზრდების დამსახურება როდია. აი, მეოთხე მწკრივში რომ ხანშიშესული ქალი მუშაობს, ციცი მიქაძეა. ოთხი შვილის დედა და შვილიშვილების ბებია დღეში 150-160 კილოგრამ ჩაის კრეფს.

ბრიგადირი ახლა მეორე მხარეს მიტრიალდა და ინდიკო ლეშკაშელი გაგვაცნო. აგროგანყოფილების აგრონომმა რევაზ გოგოხიამ ნახევრად ხუმრობის კილოთი ჩაილაპარაკა:

— ასეთი მუშა მეურნეობას ორმოცდაათი კიდევ რომ ჰყავდეს, მეტი არც უნდა.

და რა გასაკვირია, ბრიგადამ გასულ წელს 150 პროცენტით რომ შეასრულა გეგმა და ამ მხრივ წელსაც ისახელა თავი.

ბრიგადირმა მერე მეურნეობის ახალგაზრდებზე ჩამოაგდო საუბარი. მოგვითხრობდა თანატოლებზე: თენგიზ კეკელიაზე, იმედა კვარაცხელიაზე, დალი მინდაძეზე, ზაირა სილაგაძეზე, ჯულიეტა გაგუაზე, მედეა დანელიაზე, ენვერი მესხიაზე. გვაცნობდა იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც თავიანთი შრომითა და სწავლით წვლილი შეაქვთ მეურნეობის, სოფლის წინსვლასა და კეთილდღეობაში.

თვითონ ბრიგადირზე კი მეურნეობაში გვითხრეს, რომ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტის დაუსწრებელი სწავლების IV კურსის სტუდენტი ოთარ ახვლედიანი კარგი ბრიგადირი და კომკავშირელი ახალგაზრდების ღირსეული წინამძღოლია.

## ტრაქტორისტები

ტრაქტორისტთა ბრიგადების წევრებმა, მექანიზატორებმა მეურნეობის ეზოში მოიყარეს თავი.

ბრიგადირი ჩვენსკენ მოტრიალდა:

— ა, ბატონო, ამ ხალხზე დაწერეთ. ძველი, გამოცდილი ტრაქტორისტები არიან. რაც კოლმეურნეობა დაარსდა, იმ დღიდან სულ აქ მუშაობენ. მათ გაიყვანეს პირველი ხნული!

იქვე მდგომ ტრაქტორს ახალგაზრდა, მაღალი ბიჭი მიყრდნობოდა და ღიმილნარევი სახით გვიყურებდა.

— ეს ახალგაზრდა ჯემალ ლეჟავაა, ვახტანგის ვაჟიშვილი, კარგი ტრაქტორისტია, მაგრამ მამისნაირი ვერაა... — ჩაილაპარაკა ბრიგადირმა.

შეჯგუფებულ ხალხს სპეცტანსაცმლიანი შუახნის კაცი გამოეყო და მოგვიახლოვდა.

— ყველამ ვიცით, რომ ვახტანგიც, გრიშაც, მიხეილიც გამოცდილი, მოწინავე ტრაქტორისტები არიან. ხალხიც კარგად იცნობს, ბევრჯერ დაწერილა მათზე. იცით, კიდევ ვისზე უნდა დაიწეროს? ახლა სანაპიროზე რომ ჩახვიდეთ, ჩვენი სოფლის რამდენიმე ახალგაზრდას ნახავთ. ისინი უსაქმურად ატარებენ დროს, მათი თანატოლი თემურ გიორგობიანი კი სკოლის დამთავრებისთანავე ჩვენთან მოვიდა სამუშაოდ და ტრაქტორს მართავს. კარგი ბიჭია თემური, ზრდილობიანი, საქმიანი. აი, ვისზე უნდა დაწეროთ, წაიკითხონ მისმა ამხანაგებმა და მაგალითი აიღონ მისგან!..

ნუშა გაგუას ამ სიტყვებზე ახალგაზრდა ტრაქტორისტმა უხერხულად გაიღიმა — ჯერ რა გავაკეთეო.

* * *

ლამაზი სოფელია კინდღი.

მაგრამ ამ სოფლის სილამაზე და მშვენება ის ლეშკაშელები, ხოფერიები, ძაგანიები, ყვირილიანები, გეთიები, ჩიქოვანები, ხშელიძეები, მიქაძეები, ქობალიები, ოდიშარიები არიან, რომლებიც ჯერ კიდევ ოცი-ოცდაათი წლის წინათ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსახლდნენ აქ და ჭაობიანი, ეკალბარდებით დაფარული ადგილები ამოძირკვეს, გაიყვანეს გზები, გააშენეს პლანტაციები და ხეხილის ბაღები...

მანანა მუშკუდიანი

# სამოქალაქო ომის ფურცლებიდან



# იყო ერთი კომისარი...

1920 წლის 2 თებერვლის სუსხიანი ღამე იყო. ქალაქ ნოვოჩერკასკის მახლობლად მდებარე ხუტორ მანიჩსკო-ბალაბინსკიდან, სადაც მეცხრე არმიის მეორე ნაკრები ცხენოსანი კორპუსის საველე შტაბი იყო მოთავსებული, ორი მხედარი გავიდა. მათ გეზი ხუტორ სალიონისაკენ აიღეს. მხედრები ცხენებს თავგამოდებით მიაჭენებდნენ. ეჭვი არ იყო, რომ ისინი რაღაც მნიშვნელოვანი დავალების შესასრულებლად მიიჩქაროდნენ. წინ, თეთრ ბედაურს რომ მიაგელვებდა, მეორე ცხენოსანი კორპუსის სამხედრო კომისარი ვლადიმერ მიქელაძე იყო. მას კვალდაკვალ მიჰყვებოდა კორპუსის შტაბის ორდინარეცი, რომელიც მალიმალ აქეთ-იქით იყურებოდა, თითქოს მიდამოს ზვერავსო, თან მარჯვენა ხელში რევოლვერის ტარს ბღუჯავდა.

ცხენოსნებს ორი კილომეტრი არ ექნებოდათ გავლილი, რომ უეცრად ორდინარეცის ხელში რევოლვერმა იელვა. გაისმა რამდენიმე სროლა და მიქელაძე გაქანებულ ბედაურს კისერზე ულონოდ ჩამოეკიდა.

ორდინარეცი ცხენიდან გადმოხტა, ფრთხილად მიუახლოვდა თავის მსხვერპლს, რომლის თავიდან დანთხეულ სისხლს უკვე მოესწრო თოვლის წითლად შეღებვა. იგი სულთმობრძავ კომისრისაკენ დაიხარა, ხმალს დასწვდა, ქარქაშიდან მახვილი ამოაძრო და თავში რამდენიმე დარტყმით საბოლოოდ მოუსწრაფა სიცოცხლე.

ასე მუხანათურად, საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულ ბანდიტთა ხროვის მიერ მოგზავნილი მკვლელის ხელით დაიღუპა ნიჭიერი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, სამოქალაქო ომში ინტერვენტებისა და კონტრრევოლუციის წინააღმდეგ დაუცხრომელი მებრძოლი, მეცხრე არმიის მეორე ცხენოსანი კორპუსის სამხედრო კომისარი, პარტიის ერთგული შვილი ვლადიმერ ნესტორის ძე მიქელაძე.

ვ. მიქელაძემ ხანმოკლე, მაგრამ რევოლუციური პათოსით აღსავსე, დაძაბული ცხოვრების გზა განვლო. იგი დაიბადა 1891 წლის 29 დეკემბერს თბილისში. 1900 წელს ვ. მიქელაძის მშობლები საცხოვრებლად ბაქოში გადავიდნენ. 1906 წელს ვლადიმერს მამა გარდაეცვალა, შვილების აღზრდის მძიმე ტვირთი თავს დააწვა დედას — ნატალია მიხეილის ასულს. ვლადიმერი ბაქოს მესამე გიმნაზიაში სწავლობდა და ერთ-ერთ საუკეთესო მოწაფედ ითვლებოდა. გიმნაზიაში სწავლის პერიოდში იგი მოსწავლეთა არალეგალური წრის აქტიური წევრი იყო.

ვ. მიქელაძის, როგორც რევოლუციონერისა და მშრომელი ხალხის კეთილდღეობისათვის დაუცხრომელი მებრძოლის ჩამოყალიბების საქმეში დიდი როლი ითამაშა 1905-1907 წლების რევოლუციამ.

1913 წელს, ბაქოს გიმნაზიის წარმატებით დამთავრების შემდეგ ვ. მიქელაძე სწავლის გასაგრძელებლად რუსეთს გაემგზავრა და პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე შევიდა. პარალელურად ისმენდა ლექციებს იურიდიულ ფაკულტეტზეც. პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის დროს იგი უახლოვდება არალეგალურად მომუშავე ამხანაგებს, აქტიურად ებმება რევოლუციურ მოძრაობაში და 1915 წელს შედის ბოლშევიკური პარტიის რიგებში.

ვ. მიქელაძე აღტაცებით შეხვდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას. პეტროგრადის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური და იურიდიული ფაკულტეტების დამთავრების შემდეგ იგი პარტიის დავალებით მხურვალე მონაწილეობას იღებდა ახალგაზრდა სოციალისტური სამშობლოს შეიარაღებული ძალების მეთაურთა კადრების მომზადებასა და პოლიტიკურ აღზრდაში. საბჭოთა არმიის აკადემიაში იგი იყო რსფს რესპუბლიკის სამხედრო სასწავლებლების მთავარი სამმართველოს პოლიტგანყოფილების უფროსი, მუშაობდა პოლიტიკურ კომისრად წითელი არმიის სხვადასხვა ნაწილებში. ამ ფრიად საპასუხისმგებლო სამუშაოებზე ვ. მიქელაძემ თავი გამოიჩინა როგორც უაღრესად მომზადებულმა, ფართო განათლების ლექტორმა, წითელი არმიის ახალგაზრდა კადრების უნარიანმა აღმზრდელმა და ნიჭიერმა სამხედრო-პოლიტიკურმა მოღვაწემ.

უცხოელმა ინტერვენტებმა და შინაგანი კონტრრევოლუციის გაერთიანებულმა ძალებმა მალე სისხლიანი მახვილი აღმართეს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ. საბჭოთა რუსეთი სამოქალაქო ომის ცეცხლში გაეხვია. ამ მეტად მძიმე და გადამწყვეტ პერიოდში ჩვენი სამშობლოს მშრომელები კომუნისტური პარტიისა და მისი ბელადის ვ. ი. ლენინის მეთაურობით ტიტანურ ბრძოლას ეწეოდნენ საბჭოთა ქვეყნის მტრების წინააღმდეგ.

1918 წლის ბოლოს ვ. მიქელაძეს პარტია სამხრეთში გზავნის სპეციალური დავალებით, მაგრამ თეთრგვარდიელები მას როსტოვთან აპატიმრებენ. თუ მტერი ნამდვილ ვინაობას დაადგენდა, ვ. მიქელაძეს უცილობელი სიკვდილი ელოდა. მაგრამ, საბედნიეროდ, მან მოახერხა მტრის ხელიდან დაძვრენა და მიმალვა.

1919 წლის ზაფხულში ვ. მიქელაძეს კვლავ გზავნიან დენიკინელთა ზურგში მნიშვნელოვანი დავალების შესასრულებლად. მას უნდა შეეგროვებინა მასალები მტრის სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის შესახებ. ეს დავალება ვ. მიქელაძემ ბრწყინვალედ შეასრულა.

იმავე წლის ნოემბერში ვ. მიქელაძემ რესპუბლიკის სამხედრო სასწავლებლების მთავარი სამმართველოს პოლიტგანყოფილების უფროსს მიმართა პატაკით, რომელშიც მოითხოვდა, რომ იგი, როგორც გამოცდილი პოლიტმუშაკი, გადაეგზავნათ რესპუბლიკის რევოლუციური სამხედრო საბჭოს განკარგულებაში ფრონტზე სამუშაოდ. ვ. მიქელაძის ეს თხოვნა დააკმაყოფილეს. იგი, 10 სხვა მოსკოველ პასუხისმგებელ მუშაკთან ერთად, გაიგზავნა სამხრეთის ფრონტზე მოქმედ არმიაში და მეცხრე არმიის მეორე ნაკრები ცხენოსანი კორპუსის სამხედრო კომისრად დაინიშნა.

მეორე ცხენოსანი კორპუსის შტაბში იმ დროს ანტისაბჭოთა საქმიანობას ეწეოდა პოლიტიკურად გახრწნილ მეთაურთა ერთი ჯგუფი.

ვ. მიქელაძე ნაწილში მისვლისთანავე ენერგიულად შეუდგა გადამჭრელი ზომების მიღებას. მოღალატეთათვის ცხადი გახდა, რომ მათი საქმიანობა კორპუსის სამხედრო კომისრის ენერგიული მოქმედების შედეგად მხილებული იქნებოდა და ისინი საკადრის სასჯელს მიიღებდნენ. შეთქმულებმა გადაწყვიტეს, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, თავიდან მოეშორებინათ სამხედრო კომისარი ვ. მიქელაძე. მალე ეს საზიზღარი გადაწყვეტილება მათ სისრულეში მოიყვანეს.

ჩვენი პარტიის ერთგული შვილის, უშიშარი კომისრის ვ. მიქელაძის უდროოდ დაღუპვამ დიდი აღშფოთება გამოიწვია არა მარტო მეორე ცხენოსანი კორპუსის ჯარისკაცთა და მეთაურთა შორის, არამედ მეცხრე არმიისა და მთელი ფრონტის სამხედრო შენაერთებში. ამ ვერაგული მკვლელობის გამო იმართებოდა წითელარმიელთა, კომუნისტთა და თანამგრძობთა საერთო კრებები, რომლებზეც სასტიკად გმობდნენ მებრძოლი ამხანაგის მუხანათურ მკვლელობას.

ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა საკადრისად გაუსწორდა სოციალისტური სამშობლოს მტრებს. მეორე ცხენოსანი კორპუსის შტაბში მოკალათებული შეთქმულთა ჯგუფი რევოლუციური ტრიბუნალის განაჩენით 1920 წლის მაისში დახვრიტეს.

ვ. მიქელაძე დიდი პატივით დაასაფლავეს ქ. მოსკოვში, წითელ მოედანზე აღმართულ კრემლის კედელთან. რამდენიმე ხნის შემდეგ, დედის თხოვნით, რომელმაც მხოლოდ მოგვიანებით — 1922 წელს გაიგო შვილის დაღუპვა, ვ. მიქელაძის ნეშტი გადაიტანეს ვაგონკოვის სასაფლაოზე, სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირის ვასილ კიკვიძის საფლავის გვერდით.

საბჭოთა სახელმწიფომ ღირსეულად შეაფასა ვ. მიქელაძის დამსახურება სამშობლოს წინაშე. სამოქალაქო ომის წლებში გამოჩენილი გმირობისა და დამსახურებისათვის საბჭოთა მთავრობამ იგი დააჯილდოვა ორი წითელი დროშის ორდენით.

კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხი არასოდეს დაივიწყებს მისი სახელოვანი შვილის ხსოვნას.

**სიმონ კვაჭაძე,**
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

# დემოგრაფიის ჩანაწერებიდან

უკანასკნელ წლებში ხალხთმოსახლეობის, დემოგრაფიული პრობლემებისადმი სულ უფრო მეტ ინტერესს იჩენენ მსოფლიო საზოგადოებრიობის ფართო მასები. ამიტომ, შემთხვევითი არ არის, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 1974 წელი გამოაცხადა დემოგრაფიულ წლად.

ჩვენი ჟურნალის მკითხველებისათვის ინტერესს მოკლებული არ იქნება გაეცნონ საბჭოთა საქართველოს მოსახლეობის ზრდისა და დემოგრაფიული განვითარების საკითხებს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ განვითარებასთან ერთად ჩვენშიც ადგილი ჰქონდა მთელ რიგ პროგრესულ დემოგრაფიულ ცვლილებებს. ამ მხრივ, უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ის, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოს მოსახლეობა ორჯერ და უფრო მეტად გაიზარდა. საგულისხმოა ისიც, რომ მოსახლეობის გაორკეცებას 1,5-ჯერ ნაკლები დრო დასჭირდა, ვიდრე რევოლუციამდელ მეფის რუსეთის საქართველოში. ასე მაგალითად, საქართველოს მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა 1800 წელს შეადგენდა 850 ათას კაცს, 1888 წელს — 1.720 ათასს, 1921 წელს — 2.411 ათასს, 1923 წელს — 2.438 ათასს, ხოლო 1973 წელს — 4.878 ათას კაცს.

როგორც ვხედავთ, მე-19 საუკუნეში საქართველოში მოსახლეობის გაორკეცებას დასჭირდა 88 წელიწადი, ხოლო საბჭოთა პერიოდში 50 წელიწადი, ანუ 38 წელიწადით ნაკლები დრო. დაახლოებით ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი საკუთრივ ქართველი მოსახლეობის ზრდაშიც, რომელიც თითქმის არ განიცდის მიგრაციული პროცესების, მოსახლეობის მექანიკური მოძრაობის გავლენას და, ამდენად, უფრო ზუსტ წარმოდგენას გვაძლევს მოსახლეობის ბუნებრივ ზრდაზე. იმავე პერიოდში, კერძოდ, 1800 წელს ქართველების რიცხოვნობა უდრიდა 670 ათას კაცს, 1897 წელს — 1.314 ათასს, 1926 წელს — 1.782 ათასს, 1970 წლის აღწერის მონაცემებით ქართველების რიცხოვნობამ გადააჭარბა 3 მილიონს და შეადგინა 3.131 ათასი კაცი. ამგვარად, ქართველი მოსახლეობა მე-19 საუკუნეში გაორკეცდა დაახლოებით 97 წლის მანძილზე, ხოლო საბჭოთა პერიოდის 44 წელიწადში 75 პროცენტით გაიზარდა!

* * *

რევოლუციამდელ საქართველოში დამკვიდრებული იყო მოსახლეობის, თაობათა განახლების პრიმიტიული, ექსტენსიური ტიპი, რომლისთვისაც დამახასიათებელია შობადობასთან ერთად მოკვდაობის მაღალი დონე (განსაკუთრებით ბავშვებში) და მოსახლეობის დაბალი სიცოცხლიანობა. საკმარისია აღინიშნოს, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში 1910—1914 წწ. დაბადებულთა საერთო რაოდენობიდან 10 წლამდე კვდებოდა 33,6 პროცენტი და მხოლოდ ერთი მესამედი აღწევდა 10 წლის ასაკამდე. სხვაგვარად ეს იმასაც ნიშნავს, რომ ყოველ 6 ახალშობილიდან 2 ბავშვი კვდებოდა 10 წლის ასაკამდე.

თავი რომ დავანებოთ მაღალი სიკვდილიანობის ემოციურ მხარეს, მოკვდაობის მაღალი დონე მძიმე ტვირთად აწვა ქვეყნის ეკონომიკას და ოჯახის ბიუჯეტს. ადამიანები მასობრივად კვდებოდნენ ისე, რომ ვერ ასწრებდნენ თავიანთი სამუშაო ძალის და უნარის სრულ განვითარებას, ნაციონალური სიმდიდრის შექმნაში მონაწილეობის მიღებას და მათზე ოჯახის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურებას.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოშიც შობადობასთან შედარებით გაცილებით უფრო სწრაფად და მეტად შემცირდა მოკვდაობის დონე. 1960—1972 წწ. შობადობის კოეფიციენტი საშუალოდ უდრიდა 20,3-ს, მოკვდა-



ობის კოეფიციენტი — 7,1-ს, რაც თითქმის 2,5-ჯერ ნაკლებია 1900—1914 წწ. შესაბამის მაჩვენებელზე. მოსახლეობის სიცოცხლიანობის კოეფიციენტი, შობადობის შემცირების მიუხედავად, 1,5-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა და შეადგინა 2,7. განსაკუთრებით მკვეთრად შემცირდა ბავშვთა და მოზარდ თაობაში სიკვდილიანობა. უკანასკნელი წლების მონაცემებით, დაბადებულთა საერთო რაოდენობიდან 10 წლამდე კვდებოდა 3,6 პროცენტი, ანუ 10-ჯერ ნაკლები 1910-1914 წწ. შედარებით.

შესაბამისად გაიზარდა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, რომელიც ამჟამად საქართველოში უდრის 73 წელს, რაც ერთ-ერთი ყველაზე უფრო მაღალი მაჩვენებელია მთელს მსოფლიოში.

ყოველივე აღნიშნულთან ერთად, საბჭოთა საქართველოში მოსახლეობის აღწარმოების მთლიანი პროცესი გაცილებით ეკონომიური და რაციონალური გახდა. 1960—1972 წწ. 1900—1914 წწ. შედარებით მოსახლეობის დაახლოებით იმავე მატებისათვის 1,7-ჯერ ნაკლები ადამიანთა მასა იყო საჭირო.

ამგვარად, საბჭოთა საქართველოში შეიქმნა და ჩამოყალიბდა მოსახლეობის აღწარმოების, თაობათა განახლების თვისობრივად სრულიად ახალი, პროგრესული ტიპი, რომლისთვისაც ნიშანდობლივია შობადობის, განსაკუთრებით კი მოკვდაობის დაბალი დონე და მაღალი სიცოცხლის ხანგრძლივობა.

ტენდენციები იქითკენ არის მიმართული, რომ მომავალში უფრო გაიზრდება სხვადასხვა თაობათა „თანაარსებობის" პერიოდი და მშობლები თავიანთ შვილებს მხოლოდ ღრმა სიბერის ჟამს დასტოვებენ. ამის თავისებურ გამოვლენას წარმოადგენს ისიც, რომ 1970 წ. აღწერით, 1897 წ. მონაცემებთან შედარებით, 70 წლისა და მეტი ხნის ასაკის პირების რიცხვი თითქმის 4-ჯერ გაიზარდა, მაშინ როდესაც ამავე პერიოდში მთელი მოსახლეობა მხოლოდ 2,5-ჯერ გაიზარდა. გარდა ამისა, 1959 წ. აღწერით 100 წლისა და უფროსი ასაკის მცხოვრებთა რიცხვის მიხედვით საქართველოს აზერბაიჯანის სსრ შემდეგ მსოფლიოში მეორე ადგილი ეკავა. საქართველოში, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების შემდეგ, 1959 წ. აღწერით, მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების მაჩვენებელი (60 წლისა და მეტი ხნის ასაკის პირების წილი მთელს მოსახლეობაში) ყველაზე უფრო მაღალი იყო კავშირში. 1970 წ. აღწერის მონაცემებით ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მეტად გაიზარდა.

* * *

საბჭოთა საქართველოს დემოგრაფიული განვითარების ასპექტში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ საბჭოთა ხელისუფლების წლებში არა მარტო მკვეთრად შემცირდა მოკვდაობის დონე, არამედ არსებითად გაქრა ცალკეულ ეროვნებათა მიხედვით წარსულისაგან ჯერ კიდევ შემორჩენილი მკვეთრი განსხვავებანი. 50-იან წლებში ჩვენში სხვადასხვა ეროვნებათა მიხედვით მოკვდაობის დონე ნიველირებული იყო საშუალო რესპუბლიკურ დონეზე: კერძოდ, 1958—1959 წწ. მოკვდაობის კოეფიციენტი შეადგენდა ქართველებში 6,8-ს, აზერბაიჯანელებში — 6,3-ს, სომხებში — 7,5-ს, რუსებში — 6,7-ს, ხოლო მთლიანად რესპუბლიკაში — 6,8-ს.

* * *

ისევე როგორც საბჭოთა კავშირში, საქართველოშიც შობადობის შემცირება ძირითადად გამოწვეული იყო გარდა ინტენსიური ურბანიზაციისა, ქალთა განათლების და კულტურული დონის ამაღლებით, მათი საზოგადოებრივ წარმოებაში მასობრივად ჩაბმით, ქალთა პროფესიული შრომის ფართოდ გამოყენებით, და საერთოდ, ქალთა საზოგადოებრივ მდგომარეობაში მომხდარი პროგრესული ცვლილებების შედეგად. ამ მხრივ საბჭოთა პერიოდში მომხდარ ცვლილებებზე და მოსახლეობის ხარისხობრივ ზრდაზედაც ერთგვარ წარმოდგენას გვაძლევს შემდეგი მონაცემები: 1897 წ. შედარებით უკანასკნელი 1970 წ. აღწერის მონაცემებით საკუთრივ ფერტილური ასაკის ქალებში (15—49 წწ.) ქალაქად მცხოვრებთა ნაწილი გაიზარდა 4-ჯერ, წიგნიერთა წილი — 16,6 პროცენტიდან 99,9 პროცენტამდე, უმაღლესი განათლების მქონე პირების წილი — თითქმის 10-ჯერ, ხოლო მარტო განათლების, მეცნიერების და ხელოვნების დარგში ერთად აღებულ დასაქმებულთა წილი — 50-ჯერ და უფრო მეტად.

ვინაიდან ქალაქი სოფელთან შედარებით წარმოადგენს უფრო მაღალ სოციალურ-კულტურულ ფენომენს და შობადობის დონე საქართველოში ქალაქად ყოველ[ად] უფრო დაბალი იყო ვიდრე სოფლად, [illegible] რომ მთელს მოსახლეობაში ქალაქის მოსახლეობის შედარებით ზრდა ჩვენშიც მოქმედებდა შობადობის შემცირების მიმართულებით.

თანამედროვე თაობა ფართოდ იყენებს იმ გაზრდილ შესაძლებლობებს, რომლებსაც საბჭოთა სოციალისტური საზოგადოება აძლევს მათ. ჩვენი ახალგაზრდები ძირითადად მხოლოდ სწავლა-განათლებისა და სპეციალობის მიღების შემდეგ ქორწინდებიან მასობრივად. თუ მე-19 საუკუნის დასასრულს მთლიანად დაქორწინებული ქალების საერთო რაოდენობიდან 20 წლამდე ქორწინდებოდა 55 პროცენტი, ანუ ნახევარზე მეტი, 1939—1940 წწ. ქორწინდებოდა 36 პროცენტი, ამჟამად კი მხოლოდ 18—20 პროცენტი ქორწინდება. შესაბამისად შემცირდა ფერტილური ასაკის ქალებში დაქორწინებულთა წილი და გაიზარდა საშუალო საქორწინო ასაკი. მარტო 1938—1940 წწ. შედარებით 1969—1970 წწ. ქალებში საშუალო საქორწინო ასაკი შემცირდა 5 წლით. არსებულ ოჯახებში ბავშვების რიცხვის შეზღუდვამ, შობადობის შიდაოჯახური რე-



გულირების გავრცელებამ ჩვენშიც საგრძნობლად შეამცირა შობადობის დონე. რაზედაც, როგორც ითქვა, გარკვეული გავლენა იქონია მეორე მსოფლიო ომმა.

მიუხედავად ამისა, საქართველოში ამჟამად არსებული შობადობის დონე, მართალია, შეკვეცილად, მაგრამ მაინც უზრუნველყოფს მოსახლეობის თაობათა გაფართოებულ აღდგენას.

მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდა არ წარმოადგენს თვითმიზანს და მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს მისი შემდგომი ხარისხობრივი ზრდა. თანამედროვე ახალგაზრდა თაობა წარმოადგენს მოსახლეობის რაოდენობრივობასთან ერთად მისი ხარისხობრივი ზრდის ძირითად და უმთავრეს რეზერვს. ამ თვალსაზრისითაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სკკპ XXIV ყრილობის მიერ შემუშავებული ფართო სოციალური და ეკონომიკური პროგრამის ღონისძიებათა განხორციელებას; რომელიც საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის შემდგომ არსებით ამაღლებასთან ერთად ითვალისწინებს, რომ მომავალი თაობის ცხოვრება იყოს „უფრო უკეთესი, უფრო ლამაზი, უფრო ბედნიერი"

გია ფირცხალავა




კიპრი. ნიქოზია.
ბაზარი თურქულ
რაიონში



ინდოეთი.
ძველი დელი



ნორვეგია. ოსლო

# ირინე რაზმაძე

ჩვენი საზოგადოებრიობა კარგად იცნობს მხატვარი ქალის ი რ ი ნ ე რ ა ზ მ ა ძ ი ს შემოქმედებას. მისი ნამუშევრები ყოველთვის მოწონებას იმსახურებენ როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო გამოფენებზე.

მხატვარ ქალს გაფორმებული აქვს 200-ზე მეტი წიგნი.

ამას წინათ საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებამ მოაწყო მხატვარი ქალის საზღვარგარეთული ჩანახატების გამოფენა.

გთავაზობთ ზოგიერთ მათგანს.



ინდოეთი. ბომბეი



ცეილონი



პარკთან



ერთიც დავლიოთ!



მშენებლები

# მეორე პროფესია



ეროვნული ბიბლიოთეკა

გასეირნება



დაისი

მეტყევე-ინჟინერს ზურაბ დათუაშვილს პირველად ბუნების დიდმა სიყვარულმა აალებინა ხელში ფოტოაპარატი. მას შემდეგ ათი წელი გავიდა. ზურაბ დათუაშვილის სახელი ახლა კარგად არის ცნობილი მხატვრული ფოტოს მოყვარულთათვის. მისი ნამუშევრები ხშირად იბეჭდება ჩვენი რესპუბლიკის, საკავშირო და მოძმე სოციალისტური ქვეყნების პერიოდულ პრესაში

ნიჭიერმა ფოტოხელოვანმა მრავალი პრიზი, დიპლომი და ფასიანი საჩუქარი დაიმსახურა სხვადასხვა კონკურსებზე და გამოფენებზე.

ზურაბ დათუაშვილის შემოქმედება გამოირჩევა თავისი უშუალობით, სისადავით, ორიგინალური ხედვით, კომპოზიციური და ტექნიკური სრულყოფით.

ჩვენი ჟურნალის მკითხველებს ვთავაზობთ ავტორის რამდენიმე ნამუშევარს.




ეროვნული
ბიბლიოთეკა

# უცნობი პორტრეტი

მიხაი ზიჩის (1827—1906) მიერ რუსთაველის პოემის დასურათების მოკლე ისტორია ასეთია:

1880 წელს ქართველმა ინტელიგენციამ განიზრახა „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის დადგენა-გამოცემა. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება". საზოგადოება შეუდგა ხალხში გაფანტული ხელნაწერების შეგროვებას, მათ საჯარო განხილვას, კრიტიკული ტექსტის დადგენასა და ახლებურ გამოცემას.

1881 წლის დამდეგისათვის კომისიას ხელთ ჰქონდა 22 ხელნაწერი, მათ შორის ყველაზე უძველესი იყო 1646 წლის გამოცემა, რომელიც ნ. კორინთელს ეკუთვნოდა.

1881 წლის 6 თებერვალს საღამოს 8 საათზე თბილისის საადგილმამულო ბანკის შენობაში თავი მოიყარა ქართველი ინტელიგენციის რჩეულმა ნაწილმა, ახალგაზრდობამ, მოსწავლეებმა. სხდომას თავმჯდომარეობდა გრ. ორბელიანი. საინფორმაციო მოხსენება იონა მეუნარგიამ გააკეთა.

საჯარო სხდომები კვირაში ერთხელ, შემდეგ კი 2-ჯერ იმართებოდა.

სხდომებზე ადგილი ჰქონდა გაცხოველებულ სჯა-ბაასს, შედიოდა უამრავი შენიშვნა, რომელიც პრესაში ქვეყნდებოდა. სხდომებს ესწრებოდა აკაკი წერეთელი, ტექსტს ილია ჭავჭავაძე კითხულობდა; სხდომებზე მონაწილეობდა იმ დროს თბილისში მყოფი დავ. ჩუბინაშვილი.

კომისიას განზრახული ჰქონდა მუშაობა 1882 წლისათვის დაემთავრებინა, მაგრამ იმის გამო, რომ კომისიამ გადაწყვიტა გამოცემა ზიჩის ილუსტრაციებით დაესურათებინა, იგი რამდენიმე წლით გადაიდო.

საქართველოს 1881 წლის ბოლოს ესტუმრა რუსეთის სამეფო კარის მხატვარი მიხაი ზიჩი.

პოემის საგამომცემლო კომიტეტმა ისარგებლა ზიჩის საქართველოში ჩამოსვლით და სთხოვა მას ახალი გამოცემისათვის 12 ილუსტრაცია დაეხატა. ზიჩს გააცნეს პოემის შინაარსი, რის შემდეგ მან შეარჩია ტიპაჟი, ჩაცმულობა, შექმნა კომპოზიცია, დეკორაციები და მრავალი ვარიანტი ცოცხალი სურათებისათვის.

1882 წლის 6 თებერვალს თბილისის საზაფხულო თეატრში პირველად დაიდგა „ვეფხისტყაოსნის" ცოცხალი სურათები (10 სურათი), რომელშიც 100-მდე ქალი და კაცი მონაწილეობდა. იგი განმეორდა 21 თებერვალს და დაემატა კიდევ ერთი სურათი — რუსთაველი მიართმევს პოემას თამარ მეფეს; შ. რუსთაველის როლს ასრულებდა საზოგადო მოღვაწე და მეცენატი დ. ზ. სარაჯიშვილი.

ქუთაისშიც წარმატებით დაიდგა ცოცხალი სურათები, რუსთაველის როლს შამია გურიელი ასრულებდა. „ცოცხალი სურათები" შემდგომში საფუძვლად დაედო ზიჩის მიერ შესრულებულ „ვეფხისტყაოსნის" ილუსტრაციებს.

პეტერბურგში გაბრუნებული ზიჩი მთელი გულმოდგინეობით შეუდგა პოემის დასურათებას. იონა მეუნარგიამ, ზიჩი რომ უფრო ღრმად ჩასწვდომოდა პოემის არსს, „ვეფხისტყაოსანი" ფრანგულად უთარგმნა. ილუსტრაციების შესრულების დროს ზიჩს კონსულტაციებს უწევდა იმ დროს პეტერბურგში მყოფი ნიკ. ნიკოლაძე და ივ. მაჩაბლის უფროსი ძმა ვასო მაჩაბელი.

ზიჩმა მალე დაასრულა ილუსტრაციები და ნაცვლად დაკვეთილი 12 ნახატისა, 34 ნახატი უსასყიდლოდ გამოუგზავნა კომიტეტს, თან დასძინა: „მე ბედნიერად ვრაცხ თავს, რომ თქვენის ჩინებულის აზრის განხორციელება შევიძელ... დასასრულ გთხოვთ, მოექცეთ ჩემს სურათებს ისე, როგორც ქართველები უმანკო ქალს მოექცევიან ხოლმე — ნაზად და სათუთად".

მ. ზიჩმა ამ ძვირფას ნობათს ასეთი წარწერა გაუკეთა: „ქართველ ხალხს ჩემი თანაგრძნობისა და გულითადი ერთგულების ნიშნად. ზიჩი".

როგორც შემდგომ გამოირკვა მ. ზიჩი არ შეზღუდულა მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის" დასურათებით. მას დაუხატავს და 1888 წელს, თბილისში მეორედ ჩამოსვლის დროს, ჩამოუტანია სამი სურათი წმინდა ნინოს ცხოვრებიდან[1]. იგი კარგად იცნობდა ლეგენდას წმ. ნინოს შესახებ და სკულპტურულ ოქრომჭედლობას, რომელიც წმ. ნინოს „ჯვარი ვაზისას" ორივე მხარეს არის მოთავსებული.

ზიჩის მიერ შესრულებული სურათების სიუჟეტი აღებულია ამ ჯვრის სურათიდან.

ბოლო მონაცემებით დასტურდება, რომ მ. ზიჩი საქართველოში ჩამოსვლამდე იცნობდა ქართულ კულტურას.

ქართულ კულტურასთან ზიჩის სიახლოვეს მიგვანიშნებს მისი შემოქმედების ერთ-ერთი ფრაგმენტი — „ქართველი ქალი", რომელიც ამ უკანასკნელ ხანებში აღმოჩნდა. იგი მოსკოვში შეიძინა გამოჩენილმა პოეტმა და საზოგადო მოღვაწემ გრიგოლ აბაშიძემ და თბილისში ჩამოიტანა.

„ქართველი ქალის" პორტრეტი შესრულებულია ზიჩისათვის ჩვეული მაღალი გემოვნებითა და დიდი რეალისტური ოსტატობით. პორტრეტი მიგვანიშნებს, რომ მხატვარს ურთიერთობა უნდა ჰქონოდა იმ პერიოდში პარიზში მყოფ ქართველ საზოგადოებასთან.

**ვ. ჩაჩანიძე**

---

[1] გ. გორდეზიანი, „ზიჩი საქართველოში", გვ. 73—75.

მცირე მოგონება

# დაუვიწყარი სტუმრები

ცნობილი საზოგადო მოღვაწე და თეატრმცოდნე სერგო გერსამია ფრიად დარბაისელი, თავაზიანი, შესანიშნავი მოსაუბრე იყო.

1932 წელს ჩვენ ბორჯომში ვმუშაობდით. სასტუმროში ერთად ვცხოვრობდით. ერთხელ იგი რედაქციაში შემოვიდა და მითხრა:

— ხვალ ნაშუადღევს შალვა დადიანი და სანდრო ყანჩელი მესტუმრებიან. დეპეშა მივიღე, სადგურზე უნდა დავხვდეთ.

მეორე დღეს მე და სერგო ვაგზალზე გავედით. მატარებელი ჩამოდგა. ერთ-ერთი ვაგონიდან გადმოვიდა მზეკაცი — შალვა დადიანი, მას სანდრო ყანჩელი მოჰყვებოდა.

სტუმრებს შევეგებეთ.

შალვამ შთაგონებული ღიმილით თვალნი ცად აღაპყრო, შემდეგ მზერა იისფერ ბურუსში გახვეულ ნაძვნარებზე გადაიტანა და აღტაცებით წარმოთქვა:

— საოცარია! შეუძლებელია, ამ ულამაზესი ბუნების შვილები სულითაც ლამაზნი რომ არ იყვნენ!..

სტუმრებმა გასეირნება მოისურვეს, სერგომ, როგორც მასპინძელმა, დასვენება შესთავაზა.

დიასახლისი გულთბილად შეეგება სასურველ სტუმრებს.

ჩინებული საუზმისა და მცირეოდენი დასვენების შემდეგ პარკისაკენ გავისეირნეთ. შემოდგომა იყო. პარკი ნაირფრად გამოიყურებოდა—ალაგ წითლად, ალაგ ქარვისფრად, ალაგ კიდევ რა ფერი არ ხიბლავდა თვალს.

— ჰმ, შემოდგომა!.. — ნაღვლიანად თქვა შალვამ, — რა ჯადოქარია ეს ბუნება!.. ნეტავი გამაგებინა, რა გრძნეული ხელი განაგებს ამ საოცრებას... მოვა თოვლი, თოვლს სუსხი მოჰყვება, სულს დალევენ ეს მშვენიერი ყვავილები!.. აჰ, აჰ, რა ცვალებადია ეს წუთისოფელი... ასეა ადამიანიც!

პარკში შევედით. ხიდი გავიარეთ და ჩანჩქერთან დავსხედით. მცირე ხნის დუმილის შემდეგ შალვამ განაგრძო:

— სიჭაბუკეც ხომ ამ ჩანჩქერს ჰგავს. ამასავით დაუდგრომელია, მოუსვენარი, მქუხარე...

— ეს ჩანჩქერი თუ დაბერდება ოდესმე? — იკითხა სერგომ.

— საქმე ისაა, — თქვა შალვამ, — ზოგი ადრე ბერდება, ზოგი კი გვიან. ადამიანი კი ამ მხრივ უფრო საცოდავია. რა არ შესწევს ადამიანის გონებას, რა არ შეუქმნია და მომავალში კიდევ რამდენ რამეს შექმნის მისი ფანტაზია... და რა მალე ბერდება! მაგრამ... მოდი, მოვეშვათ ამ ფილოსოფიას...

— კარგი, მოვეშვათ.!

— ეჰ, ჩემო სერგო, ჩემო ჰორაციო, — განაგრძო შალვამ, — რამდენი რამეა ამქვეყნად, რომელსაც ადამიანი ვერ მისწვდება... იქნებ არც არის საჭირო, ვინ იცის?!..

სანდრომ ისევ ჩანჩქერზე ჩამოაგდო საუბარი.

— მაგონდება ერთი რუსი პოეტის ლექსი:

«Шуми, шуми с крутой вершины,
Не умолкай, поток седой!
Соединяй протяжный вой
С протяжным отзывом долины!»

— ვისია ეს ლექსი, სანდრო? — შეეკითხა სერგო.

— ბარატინსკის. ყრმობიდანვე მიყვარდა მისი პოეზია. მაგრამ განა მარტო მისი? პუშკინის პლეადის პოეტები, მათი პოეზია, მათი მეგობრობა ჩემი შთაგონების წყარო იყო მუდამ... ნეტავ ასეთი ერთგულება და სიყვარული იყოს ახლაც ჩვენს პოეტებს შორის.

წვიმა დაიწყო. მეტი რა გზა გვქონდა, ნაბიჯს ავუჩქარეთ და მასპინძლის ბინაზე დავბრუნდით.

... სერგოსთან ვართ. ხუთი საათისათვის მასპინძელს რამდენიმე ადგილობრივი თავკაცი დაეპატიჟა, მათთან ერთად აქაური მომღერალ-მოცეკვავენი.

სანდრო ყანჩელი განთქმული თამადა იყო. დიდი განათლებისა და გამოცდილების მქონეს ენაც უჭრიდა და მოლხენაც კარგი იცოდა

თამადამ პირველად საქართველო, ქართველი ხალხი, მისი წარსული, აწმყო და მომავალი ადღეგრძელა. ეს ტრადიციული სადღეგრძელო შესანიშნავი „მრავალჟამიერით" დაგვირგვინდა, მერე ოჯახი ადღეგრძელა, დიასახლისი, სერგო.

სუფრა თანდათან ეშხში შედიოდა. შალვას სადღეგრძელო დიდი სიყვარულით შეისვა. სადღეგრძელოს სიმღერა და ცეკვა მოჰყვა.

ნაშუაღამევს შალვა დადიანს და სანდრო ყანჩელს მატარებელი თბილისისაკენ მიაქროლებდა.

**არნო ონელი**

## მრისხანე წლების მოსაგონარად

# დაუმარცხებელი ლეგიონი



დიდი სამამულო ომის ისტორიამ შემოგვინახა ბევრი ქართველი მებრძოლის სახელი, რომლებმაც მთელი თავიანთი ფიზიკური და სულიერი ძალები მტრის განადგურებას მოახმარეს. ამჯერად გვინდა მოგითხროთ ერთ-ერთ მათგანზე — შალვა შელიაზე. შალვა აფხაზეთის სოფელ ბალმარანში დაიბადა. თვრამეტი წლისა იყო, ომი რომ დაიწყო. პირველი საბრძოლო ნათლობა შალვა შელიამ ლიტვაში მიიღო, შემდეგ ბრძოლებით გაიარა ომის დიდი გზა, დენთის კვამლით გაირუჯა, რამდენჯერმე დაიჭრა, მაგრამ ისევ ფრონტის მოწინავე ხაზს დაუბრუნდა და ორდენებითა და მედლებით მკერდდამშვენებული შეეგება რაიხსტაგზე გამარჯვების დროშის აფრიალებას.

შალვა შელიას მკერდზე აკიაფებული თითოეული ორდენი, თითოეული მედალი, ცხადია, ბრძოლებში გამოჩენილ გმირობასთან არის დაკავშირებული. პატარა წერილში შეუძლებელია ყოველ მათგანზე საუბარი. ჩვენ მხოლოდ ომის დამამთავრებელ ეტაპზე შალვა შელიას მიერ გადახდილ ერთ-ერთ საბრძოლო ეპიზოდზე მოგიყვებით.

საბჭოთა ჯარების შეტევა დღითი დღე ძლიერდებოდა. მეორე და მესამე უკრაინის ფრონტები სულ უფრო ავიწროებდნენ ბუდაპეშტის რკალს და ქალაქს ქალაქზე ათავისუფლებდნენ. შალვა შელიას სამხედრო შენაერთი, რომელიც მესამე უკრაინის ფრონტის შემადგენლობაში შედიოდა, სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ უტევდა მტერს. ფრონტის ამოცანა იყო გაენთავისუფლებინა ქალაქები დოროგი, ესტერგომი, შეერთებოდა მეორე უკრაინის ფრონტის ჯარებს და ამით დაემთავრებინა ბუდაპეშტის ალყა. 1944 წლის 27 დეკემბერს, დილით შელიას ლეგიონი ორი-სამი კილომეტრით მიუახლოვდა ქალაქ დოროგს. ჰიტლერელებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს ჩვენს ნაწილებს. ლეგიონი იძულებული გახდა დროებით თავდაცვაზე გადასულიყო. გერმანელებმა თითქოს იგრძნეს ჩვენი ჯარების შეფერხება და ბუდაპეშტის მიმართულებით აქტიური მოქმედება დაიწყეს. სანამ შევსება მოვიდოდა, ლეგიონს უნდა უზრუნველეყო ზურგის დაცვა, რათა მტრის ალყაში არ მოხვედრილიყვნენ. ლეგიონის მზვერავებმა ფრიად შემაშფოთებელი ცნობა მოიტანეს — მტერი ზურგიდან ტანკებით თავდასხმისათვის ემზადებოდა.

დაზვერვის მონაცემებმა საგონებელში ჩააგდო ლეგიონის მეთაური საბჭოთა კავშირის გმირი, კაპიტანი პავლე როსლიკი. მას თავისი მამაცი მებრძოლებით ბევრჯერ გაუნადგურებია მოწინააღმდეგის ჭარბი ძალები და ამიტომაც მის ლეგიონს „დაუმარცხებელი“ შეარქვეს. მისმა მებრძოლებმა სამაგალითო მამაცობა გამოიჩინეს რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტის განთავისუფლებაში. ბევრი მათგანი გმირული სიკვდილით დაეცა ბრძოლის ველზე, მაგრამ მტრისათვის ზურგი არ შეუქცევია. ახლა კი, როდესაც ლეგიონმა შეტევით ბრძოლებში მებრძოლთა დიდი რაოდენობა დაკარგა და ფაშისტები სამკვდრო-სასიცოცხლოდ იბრძვიან ბუდაპეშტის რკალის გასარღვევად, ჩვენმა ნაწილებმა ნუთუ უნდა დათმონ ბრძოლით განთავისუფლებული ქალაქები და სოფლები?! სჯობს დავიხოცოთ ბრძოლის ველზე, ვიდრე მტერს გავექცეთ! პირისპირ მტერი ვერ შემოგვიტევს, მაგრამ ზურგი? ზურგი ხომ ჯერჯერობით დაუცველი გვაქვს. სწორედ აქედან დაგვარტყამს გერმანელთა ტანკების დაჯგუფება. 40 ტანკი ხუმრობა არ არის: მის მოსპობას, გარდა მებრძოლთა გმირული შემართებისა, ბრძოლებში გამოცდილი და წინდახედული მეთაური სჭირდება. ასეთი კი ჩემი მოადგილე უფროსი ლეიტენანტი შალვა შელიაა. მხოლოდ ის შესძლებს ამ რთული საბრძოლო დავალების შესრულებას! — ასე ფიქრობდა ლეგიონის მეთაური.

— ვის სურს „ვეფხვებზე“ ნადირობა?! — დაბალი ხმით წარმოსთქვა კაპიტანმა.

— ამხანაგო მეთაურო, ჩვენ უსურიიდან ვართ, ვეფხვებზე ნადირობა ჩვენი ხელობაა! — უცებ რამდენიმე მებრძოლი გამოეყო ჯგუფს.

— ჩვენ კავკასიიდან ვართ, ნადირობა არც ჩვენთვის არის უცხო ხილი! — წინ წამოდგნენ არჩილ რაზმაძე, დათიკო წიკლაური, გიორგი სიმონიანი და ფაიზულა რახმადულინი.

— ჩვენ უკრაინიდან ვართ!.. — გაისმა შეძახილები.

მეთაურს სიამოვნებისაგან სახე გაებადრა და ბრძანება გასცა:

— მტრის ტანკებთან მებრძოლ ჯგუფს, 30 მებრძოლის შემადგენლობით, უფროსი ლეიტენანტი შალვა კონსტანტინეს ძე შელია შეარჩევს და თვითონვე უხელმძღვანელებს ამ საბრძოლო დავალებას. თქვენი იმედი მაქვს, ბიჭებო!

შალვა სასწრაფოდ შეუდგა თადარიგს. მან თავის საველე რუკაზე ლურჯი ფანქრით შემოხაზა ტანკების განლაგების ადგილი და მათი კონტრშეტევის შესაძლებელი მიმართულება, რომელიც, მისი აზრით, სოფელ პლაშტრემ-პუხტოზე უნდა გასულიყო. შალვამ გადაწყვიტა, თავისი 30 მებრძოლით სწორედ ამ სოფელში ჩასაფრებოდა გერმანელთა ტანკებს. მებრძოლებმა სოფელში გამავალი გზის ორივე მხარეს დაიკავეს პოზიციები. საღამოს გერმანელთა ტანკები სოფლისაკენ დაიძრნენ. გამოცდილ მეთაურს გუმანმა არ უმტყუნა — ტანკები ქ. ესტერგომის მიმართულებით აპირებდნენ გასვლას, რომ ჩვენ შემტევ ძალებს ზურგიდან მოქცეოდნენ. ფაშისტებს სოფელი დაცარიელებული ეგულებოდათ, მაგრამ წინ მაინც მოტოციკლისტები გაუშვეს დასაზვერად. შალვამ მოტოციკლისტები გაატარა. მათ ნიშანი მისცეს — გზა თავისუფალიაო. ოციოდე წუთის შემდეგ დაიძრა გერმანელთა ტანკების კოლონა. ტანკები გრუხუნით ახლოვდებოდნენ. მებრძოლები დაიძაბნენ, სუნთქვაც კი შეეკრათ. როცა მეწინავე ტანკი შელიას გაუსწორდა, შალვამ სასხლეტს თითი გამოჰკრა და ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარა სტყორცნა. ტანკი შეტორტმანდა, ერთ ადგილზე შემოტრიალდა და ცეცხლის ალში გაეხვია. 15-20 წუთის განმავლობაში შელიას ჯგუფმა 9 ტანკი დასწვა და ათობით ჰიტლერელი გაჟლიტა. გერმანელები არ მოელოდნენ ასეთ გაბედულ თავდასხმას, ისიც „დაცარიელებულ“ სოფელში. ისე დაიბნენ და აირ-დაირივნენ, რომ დანარჩენმა ტანკებმა ერთი გასროლაც კი ვერ მოასწრეს. სასწრაფოდ იბრუნეს პირი და ტყეს შეაფარეს თავი. შალვას კი თავისი ჯგუფიდან ერთი მებრძოლიც არ დაუკარგავს. ამ ოპერაციის ბრწყინვალედ ჩატარებისათვის შალვა შელიას ჯგუფის ყველა მონაწილე დააჯილდოვეს ორდენებით და მედლებით, ხოლო თვითონ იგი — საბრძოლო წითელი დროშის ორდენით.

ფაშისტური გერმანია სულს ღაფავდა. გამარჯვებით აღფრთოვანებული ჩვენი დივიზიები დარტყმას დარტყმაზე აყენებდნენ ილაჯგაწყვეტილ ფაშისტებს და ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდნენ. მესამე უკრაინის ფრონტის ჯარებმა ზედიზედ აიღეს ქალაქები: დოროგი და ესტერგომი. შეერთდნენ მეორე და მესამე უკრაინის ფრონტები, რითაც ჰიტლერელებს იმედი გადაუწყვიტეს, გადაერჩინათ ალყაში მოქცეული მათი 55 დივიზია.

ომი დასასრულს უახლოვდებოდა. ჩვენი მებრძოლები დღითი დღე ამოკლებდნენ მანძილს გამარჯვებამდე. კაპიტანი შალვა შელია მოწინავე მებრძოლთა შორის იყო. ომის დამამთავრებელ ეტაპზე ბედმა უმუხთლა. ერთ-ერთი საბრძოლო დავალების შესრულებისას, 1945 წლის 23 მარტს, მტრის ნაღმის აფეთქების შედეგად, „ვეფხვებზე მონადირემ“ მარცხენა ფეხი დაკარგა. შალვამ ომის დამთავრება საველე ჰოსპიტალში იზეიმა. დღეს იგი ჩვენს შორის არის. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი, შემდეგ — ასპირანტურა, დაიცვა დისერტაცია და ჩადგა იმ მოწინავე ადამიანთა რიგებში, რომლებიც დაუღალავად შრომობენ ჩვენი საზოგადოების უკეთესი მომავლისათვის.

ილია ტატიშვილი

# ანა კალანდაძე






თხუთმეტი დეკემბერი ანას დაბადების დღეა! ამ დღეს პოეტი ქალის სახელზე მწერალთა კავშირში, მეცნიერებათა აკადემიაში, პოეტის ოჯახში ფოსტალიონს უამრავი მისალოცი ბარათი და დეპეშა მიაქვს. ამ დღეს ანას ოთახი მიხაკებითა და პოეტის ნიჭის თაყვანისმცემლებით ივსება.

ანა კალანდაძეს ორმოცდაათი წელი შეუსრულდა! რა სჯობს იყო ოცი წლისა! მაგრამ განა ნაკლებ ბედნიერია ის, ვინც ნახევარი საუკუნე გალია?!

ორმოცდაათი შეგისრულდა? — ეს იმას ნიშნავს, რომ შენ უკვე შექმენი ის, რაც უნდა შეგექმნა. თუ საკუთარი თავის კმაყოფილი ხარ, ვითომ პირველად მიდიოდე ამ გრძელ გზაზე — მუხლი არ გეღლება, წლები ვერ მოგრევია.

ანა კალანდაძე თავის ჟსაკს პირნათელი და სახელიანი შეხვდა. სამი ათეული წელია პოეტი ქალი უმღერის სამშობლო საქართველოს. სამი ათეული წელია მისი პოეზია ატკბობს მკითხველს და ამიტომაც ხალხმა ანა კალანდაძე თავის საყვარელ და გამორჩეულ პოეტად აღიარა.

დღეს ანას პოეზია სიმწიფეში შესული ყანაა. დღეს ანა ხალხის სიყვარულს და სიხარულს იმკის.

ჟურნალ „დროშის“ რედაქცია უერთდება ლიტერატურულ საზოგადოებრიობას, პოეტი ქალის ნიჭის თაყვანისმცემლებს, მეგობრებს, ნაცნობებს და ულოცავს ჩვენს სიამაყეს — ანა კალანდაძეს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს.



ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლები: ვ. გიგინეიშვილი, ბ. საბაშვილი, თ. ბეროზაშვილი, მ. ჭაბაშვილი, ნ. საყვარელიძე. ა. კალანდაძე.



ქართველი პოეტები თეიმურაზ ჯანგულაშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, ნოდარ გურეშიძე. ლადო სულაბერიძე სტუმრად ბორის პაიჭაძესთან.

# მხიარული და სერიოზული პაიჭაძე

ოდესელები ფეხბურთის თავგამოდებული გულშემატკივრები არიან და ზეპირად იციან ყველა იქაური მოთამაშის ავ-კარგი, ჩვეულება თუ თავგადასავალი.

როცა ფეხბურთის სეზონია, კი ბატონო! მაგრამ როცა სეზონი არ არის, დავა მაინც გრძელდება. დერიბასოვსკაია მთავარი არტერიაა. გულშემატკივრები ოპერის ბაღთანაც იკრიბებიან, ზღვის სანაპიროზე მდებარე ყავახანებშიც. ერთი ფინჯანი ყავა და გაუთავებელი ლაპარაკი „შუტებსა" და „პენალტებზე", დრიბლსა და პიოლაზე.

გულშემატკივრებს ახლა ბედნიერი დღეები აქვთ. ოდესელებმა საკავშირო ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავეს.

— მიშა ხემიჩასტნი საოცრად მოხერხებულია. როგორ თამაშობს თავით!

— გრიშა ფედოტოვისოდენა ბურთები არავის გააქვს!

— საშა პონომარიოვის დარტყმული ბურთი კაცს რომ ხვდება, მისი მოხულიერება ერთი ამბავია!

— „მიხეი" (იაკუშინი) ცბიერების განსახიერებაა. ძნელია მისი კომბინაციების გამოცნობა. ეშმაკია, ეშმაკი!

— ბორია პაიჭაძე მაინც სულ სხვაა. ყველას მირჩევნია. ისე ჭრის დაცვას, როგორც დანა — ყველს. სამი კაცი მარცხნივ ეცემა, სამი მარჯვნივ. შეუძლებელია ბორიასთან თამაში. კარგი ბიჭი ხარ და წინ დაუდგები, მთელ გუნდს თავზედ აწყევლინებს!

— მთლად ასე არაა. ბორისი, თუ დასჭირდა, „მიხეისავით" ეშმაკია, კომბინაციის წამოწყებაც ემარჯვება და დამთავრებაც. როგორი ბურთები გააქვს? ერთი სიტყვით, შეუდარებელია!

ასე ლაპარაკობდნენ ოდესელები და თანაც სტადიონისაკენ მიეშურებოდნენ, ადრიანად იჭერდნენ თადარიგს. სტადიონი ზღვასთან მხოლოდ 22 ათას კაცს იტევს, მსურველი ბევრად მეტი იქნება — დღეს ხომ თბილისის „დინამო" თამაშობს.

ბორის პაიჭაძეს ოდესაში ადრეც უთამაშია. არა, ახლანდელ გულშემატკივრებს შეიძლება არ ახსოვდეთ. თვით კი რომ მოაგონდება, მეტად გამხიარულდება ხოლმე. აბა, თავგადასავალი ის იყო აი...

სანამ თბილისელები გასახდელში ფუსფუსებენ, ბორისი მხიარულობს, სიცილს ვერ იკავებს და ამხანაგებს უყვება:

— გესმის, გაიოზ! ფოთის ნაკრების ბიჭები ყირიმში თამაშებს ვატარებდით. მაყურებელი ბლომად გვყავდა და არც ქერათმიანი გოგონები გვაკვირვებდნენ. კაკო იმნაძეს ხომ იცნობ! ცეცხლისფერი თმები რომ აქვს, მას ვინ უყურებდა, გრუზა ბიჭები მოსწონდათ.

ჰოდა, ევპატორიაში თამაშის შემდეგ სანაპიროზე ვსეირნობდით. კარგა შეღამებული იყო, ერთი კაცი წამოგვეწია, ხელში დიდი პორტფელი ეჭირა.

— თქვენა ხართ ფოთელი ფეხბურთელები?!

— ჩვენა ვართ!

— თქვენს შორის უფროსი რომელია?

გრიგოლ ხორავასთან გავგზავნეთ. იგი ჩვენს გუნდს ხელმძღვანელობდა და ხანდახან კიდევაც თამაშობდა.

უცნობი და გრიგოლ ხორავა ცხარედ კამათობდნენ.

— პირდაპირ გეტყვით, მეშინია! — ეუბნებოდა გრიგოლი.

— რისი გეშინიათ, ვერავინ გაიგებს.

— გაიგებენ, როგორ ვერ გაიგებენ!

— რა იყო, გრიშა, რისი გეშინია? — ჩვენც ჩავერიეთ საუბარში.

უცნობი ახლა ჩვენ მოგვიბრუნდა:

— მომისმინეთ, ბიჭებო. მე ოდესიდან გამომგზავნეს. საქმე ისაა, რომ ჩვენთან თურქ ფეხბურთელებს უნდა ეთამაშათ, უკვე მოვილაპარაკეთ, აფიშებიც დავბეჭდეთ, ზღვა ხალხს ველით. ხომ იცით, ჩვენთან ძალიან უყვართ ფეხბურთი.

— ძალიან კარგი მატჩი იქნება.

— მატჩი კი არადა! იმ ოხრებმა დაგვალალატიანეს, აღარ ჩამოდიან. ჰოდა, თქვენთან გამომგზავნეს ოდესელმა ფეხბურთელებმა.

— ჩვენ როგორ უნდა დაგეხმაროთ?!

— როგორ დაგვეხმარებით და მშვენივრად. გვეთამაშეთ, ვითომ თურქები ხართ, ვინ გაიგებს. მათსავით შავგვრემანები ხართ, მსგავსი ფორმაც გაცვიათ.

ცოტა არ იყოს, გაბედული წინადადება იყო, მოფიქრებისათვის დრო ვითხოვეთ.

დილით „შეთქმულების" უცნობი მოთავე ისევ მოვიდა ჩვენთან და თქვენ წარმოიდგინეთ, დაგვიყოლია.

გზაში ერთი ამხანაგი ჩამოგვრჩა — მცველი გვალია. გემზე დააგვიანდა და ორი დღის შემდეგ ჩამოვიდა ოდესაში. კარგი დრო [illegible] სწორედ, უკან მოვდიოდით.

ჩავედით ოდესაში. ყველგან თურქებზე ლაპარაკობდნენ, ასე თამაშობენ და ისეო, დიდი მატჩი იქნებაო.

გრიშამ გვითხრა: .

— ბიჭებო, მეტისმეტად უნდა მოინდომოთ. თქვენ რა გიჭირთ, ახალგაზრდები ხართ. აი, მე რომ გამოვდივარ მოედანზე, ეს კი სახაცილოა. მაგრამ რა ვუყოთ, დაგვეკარგა ის წყეული გვალია.

ოდესას კარგა ძლიერი გუნდი ჰყავდა, ჩვენზე გამოცდილი, მოსკოველებთანაც ეთამაშნა და ლენინგრადელებთანაც, ახლა გულშემატკივრებს „თურქებთან" მოგებაც სურდათ. ცხადია, მოთამაშეებმა ყველაფერი იცოდნენ, მაყურებელმა — არაფერი. საინტერესო თამაში გამოვიდა, ცოცხალი, სწრაფი.

— ეს თურქები ძლიერები ყოფილან!

— ჩვენებს გაუჭირდებათ მოგება!

— მაინც დავამარცხებთ. აი, ის ხნიერი მცველი ვერ უმკლავდება მალხასოვს!

ცხადია, გრიშა ხორავაზე იყო ლაპარაკი. პერე გავიგეთ, რას ლაპარაკობდნენ მაყურებლები, საიდან, ვისგან, ახლავე მოგახსენებთ.

ერთი რამ ვერ გავითვალისწინეთ ვერც ჩვენ და ვერც ოდესელმა „შეთქმულებმა". ოდესაში ყოველთვის ბევრი ქართველი იმყოფება, მათ შორის ფოთელებიც საკმაოდ არიან: მეზღვაურები, მუშები, ინჟინრები. თურქების თამაში მათაც აინტერესებდათ და სტადიონზე მოვიდნენ.

მოვიდნენ და რას ხედავენ: თურქები კი არა, ქართველები თამაშობენ, თანაც ვინ — მათი ამხანაგები!

— კაკოია იმნაძე, როდის გახდი, ბიჭო თურქი?!

— შენც დაიწყე ტუტუცობა, ბორია?!

ერთი სიტყვით, აშკარად გაგვთქვეს, ყიჟინა ავიტეხეს.

ოდესელებმა იკითხეს, ეს რა ყიჟინა და ყვირილიაო. ჩვენი ქართველები ჯერ ვითომ უმალავდნენ, შემდეგ კი გამოაშკარავდა ყველაფერი.

მოტყუება ასე არ უნდაო. ერთ ხანს ჩვენც გვისტვინეს და ოდესელებსაც. თქვენც კარგი მამაძაღლები ხართ, ყველაფერი წინასწარ იცოდითო.

ყველაფერი კეთილად დამთავრდა.

ხალხი გაერთო თამაშით და მატჩიც ბოლომდე იქნა მიყვანილი.

თბილისის დინამოელები მეტისმეტად გაამხიარულა ამ ისტორიამ. მინდორზე გასვლის დროც დადგა და თბილისელები სათამაშოდ განწყობილნი და აგულიანებულნი, გვირაბისკენ გაემართნენ.

ოდესელმა გულშემატკივარმა ყველაფერი იცის — მას ყველაფერს „მოსკოვიდან ატყობინებენ", მაგრამ მაინც მოუთმენლად ელის გვირაბიდან გუნდების გამოჩენას.

აი, ლიტვაჩუკი, ხიენიაკი, ვოლინი, აი, ტაბაკიც გამოჩნდა. ეს ქერათმიანი ბიჭი ვინღაა, რატომ არ თამაშობს შურა მიხალჩენკო?! საინტერესოა, რას აპირებენ უმისოდ?!

ყოვლისმცოდნე ოდესელმა გულშემატკივარმა არ იცოდა, რომ წინა თამაშში მოსკოვში ცდკასთან უხეშობისათვის მეკარე ალექსანდრე (შურა) მიხალჩენკო დისკვალიფიცირებულ იქნა. მწვრთნელს მისი მოედანზე გამოყვანის ნება არ ჰქონდა და რა ექნა, აღარ იცოდა. იფიქრა, იფიქრა და ასეთი რამ მოიფიქრა — ჭაბუკი ტოლია ზუბრიცკი, ასე რომ მოსწონდა პიონერთა სასახლის გუნდში, მიხალჩენკოს მაგივრად გამოიყვანა მინდორზე.

— ეს ქერათმიანი ბავშვი სკოლის გუნდში უნდა თამაშობდეს!

— პაიჭაძეს ძველი მეკარეები ვერაფერს უხერხებენ, ახლა ბავშვებიღა აკლდა!

— გაგიჟებულა ჩვენი მწვრთნელი და ეს არის!

— გაისმოდა ირგვლივ.

ღელავენ ოდესელი ფეხბურთელები, მეტოქეებსაც უფრთხიან და საკუთარ მეკარესაც. თბილისელებმა რომ არ შეამჩნიონ, ისე [illegible], როგორც ჩვეულებრივ ყველა მოთელვაზე. ურტყამენ ბურთს მეკარეს, დარბიან მინდორზე და ბურთს ერთმანეთს გადასცემენ.

აი, პირველი სასტვენიც. ბურთი გათამაშდა. მას იღებს ბორის პაიჭაძე, გადის წინ, ცრუ მოძრაობით გასცდა ორ მცველს, გადაინაცვლა ოდნავ მარცხნივ და მოხერხებული პოზიციიდან ისე სწრაფად მოათავსა ბურთი კარში, რომ სტადიონმა ხმის ამოღება ვერ მოასწრო. ერთი წუთიც კი არ გასულა მას შემდეგ, იცოცხლეთ, ატყდა ყვირილი და ყიჟინა.

— ვის ეხუმრებიან, პაიჭაძეს?!

— ეგრე უნდათ მაგათ, გუნდი საბავშვო ბაღად აქციეს!

— რა დაემართა, ნეტავ, შურა მიხალჩენკოს?!

შურა კი სათადარიგო მოთამაშეთა სკამზე ზის. იგი სხვებზე ნაკლებად როდი ღელავს. ჩინებულად იცის, ვინ არის ბორის პაიჭაძე.

მისი „მოადგილე" იღებს ბურთს და ცენტრისკენ გზავნის. გული ეკუმშება, — როგორი დასაწყისია, პირველივე წუთზე ბურთი გაუშვა?!

ოდესელები შეტევაზე გადადიან. ისე გამძაფრებით იბრძვიან, როგორც არასდროს. „გაჭირვება მიჩვენე, გაქცევას გიჩვენებო", — ნათქვამია. მათ ასე არასოდეს არ მოუნდომებიათ. მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ ჭაბუკი მეკარე არავის ჩამორჩა. იჭერიებს და იღებს გაიოზ ჯეჯელავას, ვიქტორ პანიუკოვისა და სხვების დარტყმულ ბურთებს. აი, პაიჭაძის მიერ დარტყმული ბურთიც აიღო... სტადიონი თანდათან გადადის ჭაბუკი მეკარის მხარეზე.

— თბილისელებს რა ეგონათ, ასე იოლად მოიგებდნენ?!

— კარგად დაამახსოვრდებათ ოდესა!

— ყოჩაღ, ტოლია, სად გამოჩნდიკეს ნეტავი?!

მეორე ტაიმი მიმდინარეობდა. ანგარიში კი უკვე 3:2 იყო ოდესელთა სასარგებლოდ.

— შეხედეთ ერთი, ბორია როგორ გაცხარდა!

— ტყუილია, ასე ვერავინ აცეკვებს მცველებს!

— გაუჭირდათ თბილისელებს და იმის ბრალია!

ბორის პაიჭაძე, მართლაც, გაცხარდა. მცველები ვერაფერს უხერხებენ. ხან ხელით იჭერენ, ხან სარმახაც არ თაკილობენ, ბორისი კი კვლავინდებურად მიიწევს წინ. იგი სწრაფია და დაუღალავი, ჯადოქრის ხელოვნებას დაუფლებული!

ოდესელები სტუმრების ოსტატობას პატივს სცემენ, დიდ პატივს... მაგრამ ძალიან უნდათ, თავისიანებმა მოიგონ.

აი, პაიჭაძე დაიძრა მინდვრის ცენტრიდან. მცველები ტყაპატყუპით მიყარ-მოყარა ერთი ფეხებში უხტებოდა, ბორისი მიუხედა, ოდნავ განზე გავიდა და მცველმა მინაზე მოადინა ზღართანი. წინ მხოლოდ მეკარე დარჩა. ჭაბუკი მეკარე, ესოდენ მარჯვე და სიმპათიური. კარამდე სულ ათიოდე მეტრია. შემდეგ მანძილი მცირდება. 22 ათასი კაცი გაინაბა. ახლა რაღა იხსნის ოდესელთა კარს?! პაიჭაძე და ზუბრიცკი. ღმერთმანი, უცნაური დუელია. სამარისებური დუმილი გრძელდება, დრო თითქოს განუზომლად იჭიმება. ნერვები უკიდურესად იძაბება...

და აი, პაიჭაძე ურტყამს, პირდაპირ ტყვიისებურად. ზუბრიცკი ხტება, ბურთი მუცელში ხვდება და ახლოტილი კარს უკან გადის.

სტადიონზე საოცარი [illegible]. არა, წაქცეული მეკარე ვეღარ ადგება! პაიჭაძეს ძალზე ეცოდება ბიჭი, მასთან მიდის და რაღაცას ეუბნება, ხელს სდევს. ზუბრიცკის არაფერი ესმის. ყოველი მხრიდან მორბიან მოთამაშეები, მწვრთნელები, ექიმი. მეკარის მამა ტრიბუნაზე უხმოდ იტანჯება. ქერათმიანი ქალი, ტოლიას დედა, ტირის.

ჭაბუკი მეკარე ძირს უკან გაპყვეთ. სამი ლამარებას აღმოუჩენენ, სტადიონი გრგვინავს. მადლობა ღმერთს, ზუბრიცკი მოაბრუნეს. იგი ჩვეულ ადგილს იკავებს. მაგრამ მას თამაშის გაგრძელება აღარ შეუძლია. ძელს ეყრდნობა. მატჩის დასასრულამდე ასე უნდა იდგეს.

პაიჭაძე მინდვრის ცენტრში დგას და ყველაფერს კარგად ხედავს. მატჩის ბედი გადაწყვეტილია! ოდესელთა დაცვა საცერივითაა დაცხრილული, ეს ბიჭი რომ არა, ანგარიში ათამდე ავიდოდა. ახლა რაღა იხსნის უმეკარო გუნდს?!

ბორისმა ერთი რამ გადაწყვიტა... როცა იგი ცენტრიდან დაიძრა, სტადიონი გაინაბა. მცველები ვერ იჭერენ, თუ ვერ უმკლავდებიან მას. პაიჭაძე კარს უახლოვდება. ისევ აქეთ-იქით „წამოაწვინა" მცველები, ისევ ღიაა კარი, უწინდელზე ღია. მეკარე ძელთან დგას და ადგილიდან არ იძვრის.

ბორისმა ფეხი შემართა. ორიოდე წამიც და სტადიონს გმინვა აღმოხდება.

ჰოი საკვირველებავ! პაიჭაძე არ ურტყამს. იგი ბურთს ოდნავ მოუცაცუნებს ფეხს. ბურთი მიგორავს, მიგორავს და კარს საკმაოდ შორს სცილდება.

მყისვე მიუხვდნენ ლიდერს თბილისელები. პაიჭაძეს არ ეკადრება, წაქცეულს გაარტყას. ეს არც სხვა ფეხბურთელს ეკადრება!

მთელი სტადიონი რწმუნდება, ვინ არის და რა არის პაიჭაძე.

მატჩის დრო ამოიწურა. 3:2 ძალაშია, — ოდესის გუნდი ორ ქულას იღებს. სტადიონი კი ოვაციას უმართავს ნამდვილ გამარჯვებულებს, თბილისელებს და სწორუპოვარ ფორვარდს — ბორის პაიჭაძეს.

**გივი გამრეკელი**



# „ციფრების ფაბრიკა"

დროდადრო გაზეთებში ვკითხულობთ რესპუბლიკური ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობებს სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმების შესრულების შედეგების შესახებ. ამ ცნობების თითოეული ციფრი ასახავს ადამიანთა თავდადებულ შრომას, მათ მისწრაფებას წარმატებით შეასრულონ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი.

მაგრამ სანამ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო თავის საბოლოო დოკუმენტს პრესას გადასცემს, მისი შედგენისათვის მუშაობს ათობით ეკონომისტი. ისინი სწავლობენ ციფრებს, განაზოგადებენ და აანალიზებენ საწყის მონაცემებს ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანების საშუალებით.

აქ, „ციფრების ფაბრიკაში" თავს იყრის რესპუბლიკის ყოველი კუთხიდან მოსული მთელი სტატისტიკური ინფორმაცია. აქ შეგიძლიათ შეიტყოთ, თუ რამდენი ქვანახშირი ამოიღეს ტყიბულელმა მემაღაროეებმა, რამდენი ჩარხი დაამზადეს თბილისელმა მანქანათმშენებლებმა, როგორ აქვთ საქმე სოფლის მშრომელებს...

ხმაურობენ ტელეტაიპები. უწყვეტ ნაკადად მოედინება ციფრებით სავსე ქაღალდის ლენტები. აქ იბადება ის, რაც მოგვიანებით დაიბეჭდება გაზეთში „საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობის" სახით.

ინფორმაცია დასამუშავებლად მიედინება საანგარიშო-საპერფორაციო მანქანებზე აქ მიღებულ პერფოლენტებზე, რომლებიც ელექტრონულ-გამოსათვლელ მანქანებში შეაქვთ, ციფრები ისეა დამიფრული, რომ მათი „წაკითხვა", გაანალიზება და გაერთიანება მხოლოდ ელექტრონულ-გამოსათვლელ მანქანებს შეუძლიათ.

ჩვენ სამანქანო დარბაზში ვართ. პერფორაციაზე კოდით შეაქვთ საწარმოს, სამინისტროსა თუ რაიონის, ესე იგი იმ ობიექტის სახელწოდება, რომლისთვისაც გაანგარიშება წარმოებს. აი, პერფორაციები ერთად შეაგროვეს. მათ აწყობენ ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანის სპეციალურ მოწყობილობაში. „გონიერი" მანქანა დიდი სიჩქარით იძლევა შედეგებს. მაგრამ ელექტრონულ-გამოსათვლელ მანქანაზე მიღებულ შედეგებს ერთხელ კიდევ ამოწმებენ ეკონომისტები, რომ შეცდომა არ გაიპაროს. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ციფრები ხომ ზუსტი უნდა იყოს! — ისინი საფუძვლად დაედება ახალ გეგმას.

დამუშავებული ინფორმაცია იძლევა იმის საშუალებას, რომ ოპერატიულად შეადგინონ დეკადის, თვის სტატისტიკური ანგარიშები. ამ ანგარიშებს უგზავნიან სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სამინისტროებს, უწყებებს. რესპუბლიკურ გამოთვლით ცენტრზე გარკვეულწილად დამოკიდებულია იმ ღონისძიებათა ეფექტიანობა, რომლებსაც განახორციელებენ წარმოების ამა თუ იმ უბანზე მუშაობის ორგანიზაციისათვის.

რესპუბლიკური გამოთვლითი ცენტრის თანამშრომელთა მუშაობის მასშტაბზე შეიძლება ვიმსჯელოთ თუნდაც ასეთი ფაქტებით: წლის განმავლობაში ისინი ამუშავებენ სამრეწველო საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების დაახლოებით ნახევარ მილიონ სტატისტიკურ ანგარიშს, აგრეთვე დოკუმენტებს მასწავლებელთა და საბავშვო ბაღების პერსონალის ხელფასის გამოსაანგარიშებლად, აწარმოებენ ქალაქ თბილისის 140 ათასი ბინის დამქირავებლის ყველა კომუნალური მომსახურების გაანგარიშებას. რესპუბლიკურ გამოთვლით ცენტრს ფილიალები აქვს ათ მსხვილ სამრეწველო საწარმოში. ამჟამად წყდება აგრეთვე საკითხი, რომ რესპუბლიკის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს პირდაპირი სატელეგრაფო კავშირი ჰქონდეს დიდ ქალაქებთან და რაიონულ ცენტრებთან, შემდეგ კი ასეთივე კავშირი დამყარდეს რესპუბლიკის ყველა რაიონთან და ქალაქთან.

**როზერტ მეგრელიშვილი**





ცნობილ პოეტს კალე ბობოხიძეს დაბადების 70 წელი შეუსრულდა. ამასთან დაკავშირებით იგი დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით. ჟურნალ „დროშის" რედაქცია ულოცავს ამ ჯილდოს პოეტს და უსურვებს ახალ შემოქმედებით წარმატებებს. გთავაზობთ პოეტის ახალ ლექსებს.

## კალე ბობოხიძე

### ერთგულება

გვარდიის გენერალ-მაიორს
ვ. ზარელუას

სისხლში იწვა მშობლიური მიწა,
მის გულს მაინც არ გაუჩნდა ბზარი,
სიმტკიცის და ერთგულების ფიცად
რეკდა, რეკდა ზარელუას ზარი.

ძირში ჰკვეთდა მოღალატის ხელებს,
განვლო გზები საშიში და ძნელი...
მტრისგან წმენდდა უკრაინის ველებს —
კავკასიის მწვერვალების მცველი...

გმირთა ბრძოლა ლეგენდებად იქცა,
ჰქუხდა ომი ცაში, ზღვაში, მთებზე...
ვაჟკაცს ლოცავს საბჭოეთის მიწა,
ახსოვთ იგი პრაღასა და დრეზდენს...

სადაც იყო — ამყარებდა წქარივს,
უვნებელმყო მან მოინე ბევრი...
გადავლახეთ ოდერი და დნესტრი
და ჯავშანი შევუღლეთ ბერლინს...

დაცხრა ომი. კვლავ მშვიდობას ვიცავთ,
აგვიყვავდა ბაღნარი და ზვარი —
და ისევ რეკს თავდადების ფიცად
მტრის მზარავი ზარელუას ზარი...

### ოდა სილამაზისა

წინათ ღვთის მადლით წერას იწყებდნენ,
დღეს შენ ხარ ჩემი ხატიც, ღვთაებაც;
განა რას გეტყვი დასავიწყებელს?
შენ სილამაზის ხარ უკვდავება!

შენი ხინაზე ახლავთ ამ ლექსებს,
შენი დანახვით გრძნობა ცოცხლდება;
შენს ღვთიურ მზერას როგორ გავექცე?
ის მიცისკროვნებს სიყრმის ოცნებას!

შენი მშვენებით მეც ვარ ძლიერი,
შენს სარკმელს სწვდება ლალი ოცნება,
შენი წარმტაცი შნო და იერი
ჩემს ლექსში ასჯერ დაილოცება!

უფლის ხსენებით წერას იწყებდნენ,
დღეს შენ ხარ ჩემთვის სალმერთებელი;
ჩემი ლექსები არ გივიწყებენ
შენს გამო ლოცვით დამისმთეველები!



# ოთხი რომანი ერთ [illegible]



ნოდარ დუმბაძემ პირველივე რომანით მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. დღეს იგი, ჩვენშიც და ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც, აღიარებულია ჭეშმარიტ მწერლად. მისი რომანები „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", „მე ვხედავ მზეს", „მზიანი ღამე", „ნუ გეშინია, დედა!" თარგმნილია მრავალ ენაზე. ვინ იცის, ცხოვრებაში რამდენჯერ შევხვედრივართ ამ ნაწარმოებების გმირებს, მაგრამ რატომღაც არავითარ ყურადღებას არ ვაქცევდით. მხოლოდ მადლიანი ნიჭის წყალობით გახდნენ ისინი ყველასთვის სახიო და პოპულარული პიროვნებები. ილიკო, ილარიონი, ხატია, ზურიკელა, სოსოია, თეიმურაზ ბარამიძე, ავთანდილ ჯაყელი... წიგნის ფურცლებზე გამოჩნდნენ თუ არა, მაშინვე შეიყვარა მკითხველმა. იმიტომ, რომ მათ უწმინდესი და უფაქიზესი სინდისი აქვთ, ახასიათებთ გულწრფელობა. ისინი საოცრად საყვარელი, კეთილი გულის ადამიანები არიან. მათი მეტყველება, მოძრაობა უაღრესად ბუნებრივია. საერთოდ ნ. დუმბაძის რომანებში უშუალობა სუფევს, წინა პლანზეა გმირის ინდივიდუალური თვისება, მაგრამ დამახასიათებელი ნიშნები განზოგადოებულ თვისებათა შემცველია. მოქმედი პირები ნაჩვენებია ტიპიურად, მკაფიოდ.

ნოდარ დუმბაძე არა მარტო პერსონაჟებს, არამედ მშობლიურ გარემოსაც შეუდარებელი ოსტატობით ხატავს. კარგად ვიცნობ იმ ადგილებს, რომლებიც მწერალს თავის რომანებში აქვს აღწერილი, მაგრამ როცა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", „მე ვხედავ მზეს" წავიკითხე, ბევრჯერ ნანახი სხვა გრძნობით, უფრო ძლიერ განვიცადე. ასეთია ჭეშმარიტი ხელოვნების ძალა!

ყოველ დიდ მწერალს თხრობის საკუთარი მანერა აქვს. ნოდარ დუმბაძის რომანებს სხვათა ნაწარმოებებისაგან ხელმოუწერლადაც გამოარჩევთ. საქმე კილოკავი კი არ არის, არამედ მთავარია ღრმად შეიჭრა ენის სულში და მარჯვედ გამოიყენო მისი იდიომები. დუმბაძემ შეძლო ეს.

მწერალს დიდად ეხერხება ფაბულის გაშლა — დაკონკრეტება, მან იცის საიდან დაიწყოს ამბავი და სად დასვას წერტილი. იგი სიუჟეტს როდი აჭიანურებს. ეს მისი როგორც ოსტატის უდიდესი ღირსებაა. რადგან მწერლის მხატვრულ ღირსებებზე ჩამოვარდა საუბარი, იმასაც ვიტყვით, რომ ნოდარ დუმბაძის რომანები იქნება ეს — „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" თუ „მე ვხედავ მზეს" დაწერილია დიდი შინაგანი ტკივილით. მწერალი უზომოდ განიცდის ხატიას უსინათლობას, ვინ იცის რამდენი სულიერი ტანჯვით არის შექმნილი ეს სახე, მაგრამ ნაწარმოები თავისი შინაარსით ოპტიმისტურია. ხატიას ზნეობრივი სისპეტაკე და მხნე განწყობილება ანელებს იმ ხევდას, რომელიც გმირის ფიზიკურმა ტრავმამ აღძრა ჩვენს სულში. მაგრამ თუ არა ეს ტრავმა, მაშინ არც დრამატიზმი შეიქმნებოდა და არც „მე ვხედავ მზეს" დაიწერებოდა. ერთი სიტყვით, ხატიას სახე ქალთა გალერეის ძვირფასი შენაძენია.

სინდისი ხალისიანი ცხოვრების საფუძველია. მხოლოდ დანაშაული ბადებს შიშს, არარაობად აქცევს ადამიანს. ნოდარ დუმბაძის რომანებში ასეთ პერსონაჟებსაც (დათიკო, აბიბო) ვხვდებით. დამნაშავეს იურიდიული სასჯელი უფრო ნაკლებად აშინებს, ვიდრე ხალხის რისხვა და საზოგადოებრივი აზრი. ეს რომ სრული ჭეშმარიტებაა, ამისათვის საკმარისია გავიხსენოთ სცენა წისქვილში და დათიკოს სოფლიდან გაძევების ეპიზოდი („მე ვხედავ მზეს"). ნაწარმოებიდან ნათლად ჩანს, თუ რაოდენ შეუწყნარებელია ხალხი იმ ადამიანის მიმართ, ვინც მხოლოდ პიროვნული ინტერესებით ცხოვრობს და როცა სამშობლოს ბედი სასწორზე დევს, მხოლოდ თავის თავზე ფიქრობს.

„მზიანი ღამე" რთული ფსიქოლოგიური რომანია, რომლის მთავარი პერსონაჟის ცხოვრებას ასე გაფაციცებით ვადევნებთ თვალს. მოხიბლული ვართ მისი მდიდარი შინაგანი ბუნებით, რაც ესოდენ მკაფიოდ არის გახსნილი. თემოს დიდი ადამიანური ღირსება ყველაზე სრულად იმ კაცთან დამოკიდებულებაში გამოვლინდა, რომელმაც ბოროტად გამოიყენა თავისი მდგომარეობა და ყმაწვილის გული დარდითა და ხევდით აავსო. ერთი სიტყვით, დათიკო, აბიბო და მისი პროტოტიპები თავად იღუპებიან თავიანთი უღირსი საქციელის წყალობით.

რაში მდგომარეობს ნოდარ დუმბაძის როგორც მწერლის მთავარი ღირსება? ყოველ ნაწარმოებს გარკვეული ფონი აქვს, მაგრამ მთავარია არა ფონი, არამედ ადამიანი, მისი შინაგანი ბუნების ჩვენება მოქმედებაში. სწორედ ამ მხრივ არის საყურადღებო ნ. დუმბაძის რომანები. მათში ადამიანი თანამედროვე ცხოვრების ფონზე ნაჩვენებია მთელი სიმაღლით, მთელი თავისი ავ-კარგით. ეს არის მწერლის წარმატების მთავარი მიზეზი.

ნოდარ დუმბაძის რომანის გმირი უმთავრესად ოცნებით და იმედებით აღჭურვილი ახალგაზრდა ადამიანია. სოსოიას, ზურიკელას, ბარამიძეს, ჯაყელს, ხატიას მხოლოდ სიკეთე ამოძრავებთ და, თუ სწორია ის აზრი, რომ „ყოველი მწერალი თავის ნაწარმოებში გარკვეული ზომით თავის თავს გამოხატავს", მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ზურიკელას, სოსოიასა და თემურის სახით მწერალმა აღადგინა თავისი ცხოვრების გარკვეული პერიოდი და მათი მეშვეობით გამოთქვა საკუთარი შეხედულება ჰუმანიზმზე, ბედნიერებაზე, სიყვარულზე, მეგობრობაზე.

ნოდარ დუმბაძისათვის დამახასიათებელია უბრალოება და თავმდაბლობა. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ მისი პერსონაჟებისათვის უცხოა ამპარტავნობა. პირიქით, ისინი ძალზე სადა ადამიანები არიან.

ვუცქერით და ვუსმენთ ზურიკელას, სოსოიას, ბარამიძეს, ჯაყელს და თვალნათლივ ვხედავთ მათ პერსპექტიულ ცხოვრებას, ვგრძნობთ ავტორის გულისხმიერ დამოკიდებულებას ადამიანისადმი.

საერთოდ, ნ. დუმბაძე რეალურ სინამდვილეს ღრმად და მკვეთრად აღიქვამს. მის რომანებში სიკეთისა და ჭეშმარიტების გრძნობა ორგანულადაა შერწყმული, ცხოვრებისა და გამოხატვის სიმართლე განუყოფელია ერთმანეთისაგან. აი, მისი წარმატების კიდევ ერთი მთავარი მიზეზი.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ რამდენიმე წელიწადში ქართულ ლიტერატურაში მნიშვნელოვნად გაძლიერდა თხრობითი ფორმით ცხოვრების გამოხატვის ტენდენცია. ახლა ჩვენ გვაქვს დიდი პროზა, ფართო საზოგადოებრივი მნიშვნელობის მრავალი რომანი და მოთხრობა. ფაქტია, რომ რომანს მეტი შესაძლებლობა აქვს მთელი სისრულით გამოხატოს ცხოვრება, ადამიანის სულის სწრაფვა, განცდები, აზრები, ფიქრები, ამას მოწმობს ნოდარ დუმბაძის რომანები, რომლებშიც ესოდენ ფართოდ არის ნაჩვენები ადამიანის შინაგანი სამყარო, გმირის ჭეშმარიტი ისტორია, მისი სულიერი ცხოვრების მრავალფეროვნება. მოკლედ რომ ვთქვათ, ნ. დუმბაძის რომანი — ეს უბრალო პროზა კი არ არის, არამედ ეს არის ადამიანის სიდიადის გამოხატვა ფართო პლანის ჟანრში.

თუ ადამიანს იუმორის გრძნობა არა აქვს, ეს დიდი ნაკლია, მაგრამ თუ ამ გრძნობას მოკლებულია მწერალი, იგი სამუდამოდ დარჩება უფერულ და მოსაწყენ ავტორად. ნოდარ დუმბაძის იუმორი დიდი მადლით არის მოსილი, ოპტიმისტურია, ფართო აზრის შემცველია.

მიხეილ ჯავახიშვილი ამბობდა: ნამდვილი მწერლის სიტყვას ციურ მანანასავით ელიანო. ეს ნოდარ დუმბაძის მიმართაც ითქმის, ყოველ მის წიგნში არის რაღაც ახალი და თავისებური.

ნოდარ დუმბაძე ეკუთვნის იმ ბედნიერ მწერალთა რიცხვს, რომელთა ნაწარმოებს კითხულობ და გინდა მუდამ იკითხო.

ვლადიმერ ჯიბუტი

## მხატვარი [illegible]

დიდი ხანია გაგრაში ცხოვრობს და მოღვაწეობს ცნობილი მხატვარი ანდრო ბახტაძე, რომლის ნამუშევრებს არაერთხელ დაუმსახურებია ჩვენი საზოგადოებისა და ჟურნალ-გაზეთების ყურადღება.

სამოცი წელიწადი შეუსრულდა ღვაწლმოსილ ოსტატს და როცა მის ხანგრძლივ შემოქმედებით შრომას დიდი ადამიანური, პირადი მომხიბვლელობაც ამშვენებს, კიდევ უფრო მეტი სიამოვნებით გინდა შეეხმიანო და მიულოცო დაბადების დღე.

შენი საქმით გულწრფელად უნდა იყო გატაცებული, რომ არ შეუშინდე არავითარ დაბრკოლებას, სამხატვრო აკადემიის დამთავრებისთანავე მიატოვო დედაქალაქი, დიდი ქალაქის მაცდუნებელი ილუზიები და სამოქმედო ასპარეზად შეგნებულად აირჩიო, ასე ვთქვათ, მშვიდი, შორეული ადგილი. არაერთია ისეთი, რომელმაც მხოლოდ რამდენიმე წელი გაძლო რაიონში და შემდეგ სამარცხვინოდ გამოიქცა, მიატოვა იქაურობა. ანდრო ბახტაძე ამ მხრივაც გამოირჩევა მრავალისაგან — მან „შორეული" ადგილი სავსებით შეგნებულად აირჩია სამოღვაწეოდ და კიდევაც მონდომებით შრომობს იქ. ასეთია ჩვენი მეგობარი მხატვარი, აქაურობის პატრიოტი და აქაურობის მომღერალი თავის ნახატებში.

ანდრო ბახტაძე, ცოცხალი ბუნების ეს კეთილშობილი პიროვნება, ზოგჯერ მაინც დაიჩივლებს ხოლმე მარტოობაზე, რომელსაც განსაკუთრებულად ზამთრობით გრძნობს კოლეგებსა და მეგობრებს სრულიად მოწყვეტილი. მაგრამ გაივლის ზამთარი, გადაიწმინდება ნაღვლიანად გადმოხურული ცა, ლურჯად აღივლივდება ჩაშავებული ზღვა და ჩვენს მხატვარს ისევ უწინდელი ხალისი ეუფლება.

განსაკუთრებულად გამოცოცხლდება ხოლმე იგი ზაფხულის თვეებში, როცა თბილისიდან გაგრაში ჩადიან მისი მეგობარი მხატვრები და მწერლები. და რადგან სწორედ მწერლები ჩადიან იქ მეტწილად, ანდროც ყოველთვის მათ წრეში ტრიალებს.

თვითეული ჩვენთაგანი, როცა ზღვისპირზე ჩასვლა მოგვიწევს, მივემგზავრებით იქ იმ გრძნობით და იმედით, რომ ჩვენი ძველი მეგობარი გაგრაში დაგვხვდება და გვიმეგობრებს.

ასეც არის. პირველი სახლი, საითკენაც გული მიგვიწევს, ეს არის ლენინის ქუჩაზე № 68 მდებარე შენობა, სადაც ანდრო ბახტაძე და მისი შესანიშნავი ოჯახი ცხოვრობს.

ამ დღიდან თქვენ ხშირი სტუმარი ხართ მხატვრისა და ისიც ხშირად მოდის თქვენთან. გათენდება და იცით, რომ საცაა გამოჩნდება ანდრო, დაუზარებელი, სიცოცხლითსავსე კაცი. გამოჩნდება იგი თავისი ფუნჯით, საღებავებით, წვერწათლილი ფანქრებით, სახატავი ქაღალდის დასტით. ანდრო ხომ მუდამ შთაგონებულია, მუდამ შემოქმედის თვალით შემყურებს ადამიანს, ბუნებას, მთელ გარემოს. ზოგჯერ მისი თვალი ისეთ დეტალს შენიშნავს, რასაც თქვენ იქნებ გულგრილადაც აუაროთ გვერდი. ანდრო კი, როცა რაიმეს სახასიათოს მოჰკრავს თვალს, მონუსხულივით შეჩერდება, დანახულს ქაღალდზე გადაიტანს და ამის შემდეგ იმ საგანს ხანგრძლივი სიცოცხლე ენიჭება. ასე ამგვარად აღიბეჭდება ხოლმე ის წამი, რომელმაც მიიპყრო მხატვრის ყურადღება და ასე ამგვარად ეძლევა იმ წუთს დიდი და ხანგრძლივი სიცოცხლე.

როგორც ფერწერაში, ასევე გრაფიკაში ანდრო ბახტაძე ყოველთვის ლირიკოსია, მხატვარს შესწევს ძალა დაინახოს ის განსაკუთრებული თვისება და მშვენიერება, რაც ადამიანს და ბუნებას ახასიათებს. ანდრო ნამდვილად პოეტია მხატვრობაში!

სიტყვა „პოეტი" არც თუ შემთხვევით ვახსენე აქ. ანდრო ბახტაძე ავტორია არაერთი მშვენიერი ლირიკული ლექსისა, რომლებიც მას გამოქვეყნებული აქვს თბილისისა და რაიონის ჟურნალ-გაზეთებში.

მრავალმხრივი და დიდბუნებოვანია ჩვენი მეგობარი მხატვარი. აქვს კიდევ მას ერთი ის შესანიშნავი თვისება, რომელიც ვისურვებდი, მრავალს ჰქონოდეს: ანდრო ბახტაძე იმ შემოქმედთა რიცხვს ეკუთვნის, ვისი გული სიცოცხლისადმი და ადამიანისადმი სიყვარულით არის სავსე; ამიტომ არის, ალბათ, რომ ყოველი შეხვედრა ანდროსთან სასიკეთოა და სიამოვნების მომგვრელი.



ს. კლდიაშვილი, ა. ბახტაძე და ა. ჭუმბაძე გაგრაში

სამოცი წელიწადი შეუსრულდა ანდრო ბახტაძეს. სამოცი, ეს ხომ სიმწიფის წლებია შემოქმედისათვის! წინ კიდევ მრავალი სასიხარულო დღეა ჩვენი მხატვრისათვის. ჩვენც ის გვინდა, მის მეგობრებს და პატივისმცემლებს, რომ მან კიდევ დიდხანს ბედნიერად იცხოვროს და იშრომოს ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ!

სერგო კლდიაშვილი

[illegible] კ. მარქსის სახ. [illegible] ბიბლიოთეკა

# სიტყვა ემღერა საქართველოს

## ყველაფერი

ყველაფერი იბადება,
იზრდება და იფესვება.
დასაბარი იბარება,
დასათესი ითესება.

ყველაფერი მწიფდება და
ყველაფერი იკრიბება,
მოსატეხი იტეხება,
მოსათიბი ითიბება.

ყველაფერი მართალია,
ქვეყანაზე რაც კი ხდება.
ზამთარი და გაზაფხული
ყველაფერი მეორდება.

ყველაფერი მეორდება —
ყველაფერი ქრება.
ყველაფერი თავის დროზე
ბერდება და კვდება.

კაცის სული ცაში მიდის,
ხსოვნა ხალხში რჩება.
ყველაფერი კვდება, მაგრამ
სახელი არ კვდება.

## ბებია

სიკვდილმა უკვე დაგადგა თვალი,
ბეწვზე კიდია შენი ცხოვრება.
ცოდვის და მადლის განკითხვის ჟამი,
მებადურივით გიახლოვდება.

იწყება შენი გზის გასაყარი,
მინდობილი ხარ ბედის განაჩენს.
თანდათანობით შენი ვარსკვლავი
ქრება და თითქმის აღარ ანათებს.

დაკარგე ეშხი და სილამაზე,
მწარე ფიქრებმა წაგიყოლია.
დამშვიდებულად ამ ქვეყანაზე,
ალბათ, ერთი დღეც არ გიცხოვრია.

სხვისი და შენი წინსვლის წამები,
სუყველაფერი გულთან მიგქონდა.
სიხარულით და ზოგჯერ წვალებით
შენი ცხოვრება ასე მიჰქროდა.

იყავი მუდამ გულმკერდგაშლილი,
თავზე ნამზითვი ფარჩა გეხურა.
ქართველი ქალის თეთრი მანდილი
აღარ გიხდება უწინდებურად.

ვეღარ პირველობ ახლა ქალებში,
ვეღარ ანათებ ქვეყნად მზესავით.
აღარ გინთია ცისფერ თვალებში
კერიის ცეცხლი და ნაპერწკალი.

თავს დაგტრიალებს ბოროტი სული,
ტანჯვა-წვალებით ათენებ ღამეს.
იწყება შენი გზის დასასრული,
დღეს თუ ხვალ, ალბათ, დახუჭავ
თვალებს.

გიახლოვდება საღამოს მწუხრი,
ამიყოლიებს შენზე ფიქრები.
დასწყევლოს ღმერთმა ის დღე და წუთი,
როცა ამ ქვეყნად შენ არ იქნები.

**ხოზე ადეიშვილი**

## მდინარე

დასაბამიდან ადამიანებს
თეთრი მდინარე გვიხმობს ძმასავით,
სად არ ვეხეტეთ, სად არ ვიარეთ
და ბოლოს მაინც მასთან დავსახლდით.
ის კი გარბის და ზღვას უერთდება,
არ იცის ძილი, არც დასვენება,
ჩვენი წყურვილის მძლავრი ღმერთები
ღვლემენ მასში და თავს გვახსენებენ.
იქ, სადაც გვთანგავს ალხი მდუმარი
და სარკესავით ზეცა შიშვლდება,
თან დაგვდევს იგი ხმით იდუმალით,
მუდამ თავისკენ გვეპატიჟება.
ქანცმილეული მზეში და ქარში
მეც არაერთხელ მასთან მივსულვარ, —
მდინარეს ხელში ავყავდი ბავშვი,
და მერე ბევრი კარგი მისურვა.
მისმა ხმამ ღრუბლით გაბოხებულმა
და სიკისკასემ ამორძალურმა
შთამბერა სული ამბოხებული,
მასწავლა ბრძოლა და მოძრაობა.
როცა ყოფნის გზა გამრუდებული
მქონდა, — მინდორზე დაჭრილი ვეგდე
და ტყვია მკერდში დაბუდებული
სიკვდილის მარწუხს უჭერდა ნეკნებს,
მესმა და ვიცან ხმა მისეული,
მან ბნელ უფსკრულზე გამიდო ხიდი, —
მაღალი ტალღა კლდეს მიმსხვრეული
მეძახდა, როგორც სიცოცხლე დიდი!
გამიყოლია გუგუნმა მისმა,
მეჩვენა, თითქოს მესიზმრა მძინარს, —
მამა დარდისგან ქცეული ნისლად,
დედა — მოსული ცრემლების წვიმად.
როგორ დამინდო ტანჯვამ ამხელამ,
ან, ვით გავლიე მანძილი ძნელი,
არ მახსოვს,
დიდი ხნის უნახველმა
ძმაკაცმა მაგრად მომხვია ხელი.
ხოლო სიკვდილმა — სიცოცხლის ქურდმა,
ჩემზე მახვილი ამაოდ ლესა
და, როგორც დიდი ამაგის ხურდა,
მადლობა ვუძღვენ მდინარეს ლექსად.
ტკივილიც ყველა მან დამიამა
და ბნელ უფსკრულზე გამიდო ხიდი...
მსურს ჩემი ლექსიც ადამიანებს
უხმობდეს,
როგორც მდინარე დიდი.

**ხვთისო წიკლაური**

## ცხოვრების აზრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ვარ მერცხალი —
გაზაფხული მსურს მამულისთვის.
არაგველთა ხმლის ვარ ნაპერწკალი.
მიწა და ჟანგი —
მე ვერც ერთი ვერ მერჩის, რადგან
ჩემში მარხია წინაპართა
ხმლები და ჩანგი.
მზრდიდა კაფია —
ჰა, სიცოცხლე, მამულო,
ოღონდ
„იყოო კაცი“ —
წამიწერე ეპიტაფიად!

**გიორგი მინდიკაური**

## რიწა

გზა, უფსკრულების მკერდზე გაკრული,
მაღალ მთებისკენ ჯიუტად იწევს,
მთები, ტყეები, მართლაც ზღაპრული,
გაზაფხულის ცას გულმკერდზე იწვენს.

ნისლი ჰკიდია რუხი კლდის ქიმზე
და ხარბად სუნთქავს დილის მზეს მიწა.
ხოლო ცისფერ ტბას ისევ და ისევ
ხუთი მთა, როგორც ხუთი ძმა იცავს.

## ზამთარი

ტრიალებს ზამთრის ქათქათა სული
და ლურჯი ყინვა თავისას სჩადის.
ფანჯრის მინაზე მიხატავს სურათს
და სურათიდან მიღიმის ვარდი.

დილით კი, როცა ავანთებ ღუმელს,
სითბო მინაზე დახატულს წაშლის,
ავხედავ თოვლით ავსებულ ღრუბლებს
და ჩემში უცებ ცოცხლდება ბავშვი.

**ალექსი ნამორაძე**

## ალაზანი ვიყო

შორს რომ ნავარდობენ შველებია,
შორს სადღაც ინთებიან მზის თვალები.
ჟუჟუნა წვიმები მევლებიან,
გაზაფხულის სურნელებით ვიფარები.

მეყრებიან ბავშვობის ყვავილები,
შორს სადღაც ცა სრულდება უნაპირო...
ალაზანი ვიყო, ავიმღვრევი,
ავღელდები, ავმღერდები უაპრილოდ.

## თორემ ბავშვობა...

ჩემი ბავშვობის მკვირცხლმა დღეებმა
მოულოდნელად გადამიქროლეს...
ცხრათავიანი მუნჯი დევები
სულს ვერ წაართვა დროთა სიშორემ.

მოძუნძულებენ რუხი დათვები...
ჩემს თვალწინ მალე მიწა იძვრება,
მზეო, მოჰფინე უხვი ნათელი,
თორემ ბავშვობა იქცა სიზმრებად.

**გიორგი მესხაძე**

# კალათბურთი

კალათბურთი დღეს სპორტის ერთ-ერთ მეტად გავრცელებულ სახეობად ითვლება. ბევრმა შეიძლება არც კი იცის მისი წარმოშობის ისტორია.

კალათბურთის გამოგონება ეკუთვნის სპრინგფილდის (აშშ) უნივერსიტეტის სპორტულ ინსტრუქტორს ჯეიმს ნეისმიტს. 1891 წელს მან თავის მოსწავლეებს შესთავაზა მოძრავი თამაში შენობაში — მიზანში ბურთის სროლა. მონახეს ხილის კალათი, რომელიც დაამაგრეს კედელზე. თავდაპირველად კალათში ჩაგდებული ბურთის ამოღება დარაჯს უხდებოდა, შემდეგ კი კალათს ძირი გამოაცალეს.

სახელწოდება კალათბურთი წარმოსდგა ორი სიტყვისაგან: „ბასკეტ" — კალათი და „ბოლ"—ბურთი. თამაშს რომ შეჯიბრების ხასიათი ჰქონოდა, მოთამაშეები ორ ჯგუფად გაიყვნენ. თამაშის დაკანონებული წესები 1894 წელს შემოიღეს: ბურთის ჭერა შეიძლებოდა არა უმეტეს სამი წამისა, მოედანი დაყოფილი იყო სამ ზონად, მოთამაშეებს არ შეეძლოთ ზონიდან ზონაში გადასვლა, ბურთს კალათში მოწინააღმდეგის ზონაში მყოფი თავდამსხმელები აგდებდნენ.

კალათბურთმა აშშ-ში დიდი აღიარება ჰპოვა. XX საუკუნის დასაწყისისათვის ამერიკელი მისიონერების წყალობით კალათბურთი ჩინეთშიც გავრცელდა. ცოტა მოგვიანებით რუსეთში ჩამოვიდა მდიდარი ამერიკელი ვინმე ჯეიმს სტოკსი. მისი მეშვეობით პეტერბურგში ჩამოყალიბდა „ახალგაზრდობის ფიზიკური და ზნეობრივი აღზრდის საზოგადოება". ამ საზოგადოების წევრებმა 1902 წელს დაიწყეს კალათბურთის თამაში ამერიკული წესებით.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ კალათბურთი სწრაფად გავრცელდა ჩვენს ქვეყანაში. თანდათან შეიცვალა თამაშის წესები. კალათბურთის ვეტერანები თვლიან, რომ დღევანდელი თამაში ძალზე გაუბრალოვდა. მაღალი ტანის მოთამაშეებს ადრე არავითარი სარგებლობა არ მოჰქონდათ გუნდისათვის, რადგან მოთამაშეები ბურთს მხოლოდ წელის დონეზე ისროდნენ. დღეს კი კალათბურთი გოლიათების თამაში გახდა. ისინი თავიანთი სიმაღლის წყალობით ადვილად „დებენ" ბურთს კალათში.

## ყველაზე სწრაფად



იუგოსლავიაში მოეწყო საინტერესო გამოცდა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ: საფოსტო მტრედები, ავტომანქანა, ტელეფონი და ელექტრონული ტელეგრაფი. გამოცდის მიზანი იყო დაედგინათ, ვინ უფრო სწრაფად მიიტანდა დეპეშას ქალაქ ზაგრებიდან ქალაქ ლიუბლიანამდე.

პირველი იყო მანქანა: მან დეპეშა დანიშნულ ადგილზე ჩაიტანა 1 საათსა და 32 წუთში. 2 საათისა და 49 წუთის შემდეგ ლიუბლიანაში ჩაფრინდნენ საფოსტო მტრედები, დეპეშა 2 საათსა და 51 წუთის შემდეგ მივიდა ადგილზე, ტელეფონით ლაპარაკი კი მხოლოდ 6 საათის შემდეგ შედგა.

## გამოცდა



შეიძლება თუ არა, თანამედროვე ადამიანმა გაძლოს უტელევიზოროდ?

ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად დასავლეთგერმანელმა ფსიქოლოგებმა შეარჩიეს 184 მოხალისე, რომლებსაც ერთი წლით მოუსპეს ტელევიზორის ყურების საშუალება.

შედეგი საგულისხმო გამოდგა: ერთი თვის შემდეგ 100-ზე მეტი მოხალისე გამოეთიშა ექსპერიმენტს, 60 კაცმა უტელევიზოროდ მხოლოდ 5 თვე გაძლო, დარჩენილი 20-მდე ადამიანი კი 7 თვის შემდეგ ისევ სიამოვნებით მიუჯდა ტელევიზორს.

## ბუზი — მზვერავი



კალიფორნიაში ელექტრონიკის ლაბორატორიის უფროსმა ჯეიმს ევინგმა განაცხადა: „ჩვენმა მკვლევარებმა შეძლეს დაედგინათ ტვირთის წონა, რომელიც შეუძლია წაიღოს ბუზმა".

და აი, ბუზს ზურგზე მიამაგრეს მინიატურული მიმღებ-გადამცემი მოწყობილობა. მზვერავ ბუზს უშვებენ, ვთქვათ, სხდომათა დარბაზში. ბუზი დაფრინავს, გადამცემი კი სიტყვასიტყვით გადასცემს რასაც სხდომათა დარბაზში ლაპარაკობენ.

მინიატურულ ბატარეას შეუძლია 4 საათი იმუშაოს.



● პაციენტი: — ექიმო, სიხარულმა გული გამიგანიერა.

ექიმი: — დამშვიდდით. მე ახლა ისეთ რამეს გეტყვით, რომ ისევ შეგივიწროვდებათ!



● სასადილოში ენაბლუ შევიდა.

— რა გნებავთ? — ჰკითხა ოფიციანტმა.

— კაააააატლეტი.

— ასეთი გრძელი კატლეტი არ გვაქვს! — მიუგო ოფიციანტმა.



● ხუთჯერ გავფინე სარეცხი და ხუთჯერვე მომპარა ვიღაცამ. როგორ მოვიქცე?

— მეექვსედ გაფინეთ სარეცხი.



● მეზობლის წიწილა ჩემს ეზოში გაიზარდა. მაქვს თუ არა მასზე რაიმე უფლებები?

— რა თქმა უნდა, გაქვთ. როცა დაკლავთ, თავ-ფეხი და ბუმბული მეზობელს გადააწოდეთ.

თინა ხმალაძე

●

ექიმმა მკაცრი დიეტა — დღეში 10 გვერდის წაკითხვა დაუნიშნა.

●

მწერლის ახალი რომანი ისე მოსწონდა, რომ ჰქონოდა, ჭკუას დაკარგავდა.

●

კალმით აუწერელი სამი ავტოკალამის პატრონი იყო.

●

ზოგიერთ ლექსს ცეცხლს ასანთითაც ვერ გაუჩენ.

ზაზა კაციაშვილი

●

მიხრა-მოხრით ისტორიაში ვერ შედიან.

●

მადლობა ღმერთს, ძლივს მარტო არ დავრჩი!

●

ნაცნობ ექიმს — ნაცნობი ავადმყოფობა სჯობს.

## იუმორი

●

სიზმარში ნანახ ბედნიერებასაც არა უშავს რა!

●

მოსიყვარულე ცოლ-ქმარმა თუ მოინდომა, ხუთ ოთახშიც ვერ დაეტევიან.

●

აუცილებელი არ არის ხბო იყო, რომ პირში ჩალა გამოგავლონ!

●

ამაღლებული სულიც კარგია და ხელფასიც!

გიგა მახვილაძე

# ნარევი



**5** ათასი მაყურებლის წინაშე ირლანდიელმა ჯონ მაკნამარამ ამას წინათ 65 წამში ხუთი ცოცხალი ბაყაყი გადაყლაპა და თავისი ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.



ქალაქ იორკის (პენსილვანიის შტატი, აშშ) წარმომადგენელმა ბარკ ბოიდმა 334 მოწინაალმდეგეს აჯობა საზამთროს კურკის გადმოფურთხებაზე მოწყობილ „მსოფლიო პირველობაზე“.

ბარკ ბოიდის მიერ გადმოფურთხებულმა კურკამ 16,5 მეტრი გაიფრინა ჰაერში.



ერთმა ნეაპოლელმა მესაათემ ამას წინათ დაამზადა მაგიდის საათი, რომელიც ჯერ ზარს რეკავს, მერე ძაღლივით ყეფს, ბოლოს კი რევოლვერის სროლის გამაყრუებელ ხმას გამოსცემს.



ვაშინგტონის უნივერსიტეტის სტუდენტმა 19 წლის კენ ჰაიგხემ ახალი რეკორდი დაამყარა: მან ერთდროულად მოსწია 28 სიგარეტი.



მადრიდის ვეტერინალური ინსტიტუტის სპეციალისტებმა საინტერესო ექსპერიმენტი ჩაატარეს: ძროხებს, რომლებსაც ერთი ან რამდენიმე კბილი აკლდათ, სპეციალური პროთეზები ჩაუსვეს.

ძროხების წველადობამ საგრძნობლად მოიმატა.



ამერიკელი სოციოლოგების მიერ ბოსტონში ჩატარებულმა გამოკვლევამ უჩვენა: მოსწავლეების ნახევარი ფიქრობს, რომ რძე, ისევე როგორც ლუდი და კოკა-კოლა, ხელოვნურად მზადდება ქარხნებში.



ენის სიწმინდის დაცვა საპატიო მოვალეობაა. ამ მხრივ ყველას გადააჭარბა პარიზის ერთ-ერთმა რესტორანმა, რომელმაც ასეთი შინაარსის განცხადება გამოაკრა: „უცხოელებს, რომლებიც კერძებს არაფრანგულ ენაზე შეუკვეთავენ, 10 პროცენტი შეღავათი მიეცემათ“.

# კროსვორდი

ეროვნული ბიბლიოთეკა




ვ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ა დ: 1. ტროპიკული მცენარე. 2. საგნის შემადგენელი ნივთიერების რაოდენობა, მოცულობა. 3. არხის მონაკვეთი ორ რაბს შორის. 4. ფერწერა საყოფაცხოვრებო თემაზე. 5. დეკორატიული ჰურჭელი. 6. თვითმფრინავის მართვის სპეციალისტი. 9 სიტყვათა წარმოთქმის მანერა. 13. მეთაურთან ან შტაბში დანიშნული ოფიცერი, რომელიც სხვადასხვა დავალებას ასრულებს. 14. არტილერიის, კავალერიისა და ჯავშანსატანკო ნაწილების რამდენიმე ქვეგანაყოფის გაერთიანება. 16. ქიმიური ელემენტი, მოვერცხლისფრო ლითონი. 17. ხელოვნების ნაწარმოების საჯაროდ შემსრულებელი. 22. სისხლნაკლებობა. 24 სახელმწიფო ევროპაში; 26. ოქტომბრის რევოლუციის ლეგენდარული კრეისერი. 27. საგანგებო დავალება. 28. ქართველი მგოსნის სახელი. 30. კონტინენტი. 32. ერთხმიანი ლირიკულ-დრამატული შინაარსის ვოკალური ნაწარმოები.

ჰ ო რ ი ზ ო ნ ტ ა ლ უ რ ა დ: 7. ვულკანური წარმოშობის ქანი. 8. საჰაერო ფლოტი. 10. რისიმე საფუძველი, საყრდენი. 11. სამხედრო წოდება. 12. მრავალწლიანი ტროპიკული მცენარე. 15. ინგლისური სიგრძის საზომი ერთეული. 18. მდინარე საქართველოში. 19. მასობრივი წარმოების რაიმე საგნის ზუსტი ზომა. 20. ორგანიზმის ქსოვილებისა და კუნთების მოდუნება. 21. სამხრეთ ქვეყნებში გავრცელებული მცენარე. 23. ამონიუმის ნიტრატის შემცველი ფეთქებადი ნივთიერება. 24. სასპორტო-ტურისტული გემი. 25. სააფთიაქო წონის ერთეული რუსეთში. 29. უჯრებად დაყოფილი ყუთი შრიფტისათვის. 31. ბიოლოგიის დარგი, რომელიც სწავლობს ცოცხალ ორგანიზმში მოქმედ ფიზიკურ კანონზომიერებას. 32. მიწის საზომი ერთეული ინგლისსა და ჩრდილოეთ ამერიკაში. 33. რიცხვი. 34. ადგილი, სადაც იღებენ ქვას, ქვიშას, თიხასა და სხვ.

გ ა რ ე კ ა ნ ი ს პ ი რ ვ ე ლ გ ვ ე რ დ ზ ე: მოვარჯიშე გოგონები, ფოტო თ ა რ ხ ა ნ ა რ ჩ ვ ა ძ ი ს ა.

გადაეცა ასაწყობად 9/XI-74 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/XII წ., ქაღალდის ზომა 70×108¹/₈, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9, ტირაჟი 53.000. შეკვ. № 4053 უე 01951 ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რ ე დ ა ქ ც ი ი ს მ ი ს ა მ ა რ თ ი:

380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

# ᲓᲔᲓᲐᲨᲕᲘᲚᲝᲑᲐ

ფოტო ვ. ჯეირანელისა







## ᲙᲐᲙᲐᲚ ᲒᲣᲚᲨᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა



— ჩვენ დავლევთ, ჩვენი ქმრები მანქანით არიან!

ნახ. დ. ერისთავისა



— ადამიანმა ცხოვრებაში ერთხელ ყველაფერი უნდა გამოცადოს!

ნახ. დ. ერისთავისა




შემდეგი!..

ნახ. დ. ერისთავისა

— რა ჩემი ბრალია, შენ რომ თამაში არ იცი!

ნახ. რ. სანადირაძისა



უსიტყვოდ

ნახ. ა. ერაძისა





სიმინდის უხვი მოსავალი   ფოტო თ. არჩვაძისა

ИНДЕКС 76056

ეროვნული ბიბლიოთეკა